საბჭოთა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი სამშაბათი 3 აპრილი № 77 (17422)

ფასი 2 კაპ.

მეცხოველეობას — მთელი ჩვენი გულისყური!

ფერმის რეზერვები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმმა მთელი სიგრძე-სიგანით განსაზღვრა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანები, გვიჩვენა მეცხოველეობაში არსებული გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედების რეალური გზა „საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და კიდევაც გახდება მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა!“ — გაბედულად ითქვა ამ პლენუმზე. ამ დიდმნიშვნელოვანი პლენუმის შემდეგ სულ რამდენიმე წელი გავიდა, და რეზერვების ამოქმედების შედეგად ბევრი სასიკეთო ძვრა მოხდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ შარშან, მეათე ხუთწლედის მესამე წელს გადამეტებით შესრულდა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების გეგმები; ამაზე მეტყველებს ისიც, რომ გასულ სამ წელიწადში, წინა ხუთწლედის პირველ სამ წელიწადთან შედარებით, მნიშვნელოვნად იმატა პროდუქტების წარმოებამ, პირუტყვის სულადობამ და, რაც მთავარია, ახლა სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის წონა გაცილებით მეტია.

„მაბრამ სირთულენი ჯერ კიდევ არის. მოსახლეობის მოთხოვნილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, — ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ამ დარგის დაჩქარებულ განვითარებას. 1979 წლისათვის დასახულია ამოცანა, გავპორკეცოთ ხორცის წარმოების მატება როგორც მინიმუმი. კვლავაც ასეთივე ტემპით უნდა ვიაროთ.“

ამ სახიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტის ჩინებული რეზერვი გამოძებნა მახარაძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ. უკანასკნელი წლების მანძილზე შეჯიბრების ორგანიზაციაში მათ დიდი დადებითი გამოცდილება შეიძინეს. შეჯიბრება ხომ დიდი მამოძრავებელი ძალაა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „ყურადღების ღირსია მუშაობა, რომელსაც პარტიის მახარაძის რაიკომი ეწევა. ბოლო ხანს ამ რაიონში ბევრი საყურადღებო თაოსნობა იშვა. სულ ცოტა ხნის წინათ ამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ამ რაიონის მშრომელთა კიდევ ერთი ინიციატივა, რომელმაც გადაწყვიტეს უარი თქვან დოტაციაზე და საკუთარი წარმოების ხორცით დაკაკაყოფილონ მოსახლეობის საჭიროებანი. ასე რომ გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მახარაძის რაიონს მიეკვნიჭა, საკაკვიერო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვეულის ღირსეული ჯილდოა“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებს ალბასკომებს, პირველად პარტიული ორგანიზაციებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტსა და კომკავშირელს დაავალა ახალი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ თითოეული სახოფლო-სამეურნეო ორგანიზაციისათვის, თითოეული ოჯახისათვის, მშრომელებისათვის განსაზღვროს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დავალებანი.

დღეს ჩვენს გაზეთში ვბეჭდავთ კორესპონდენციას თიანელი ახალგაზრდების პატრიოტული თაოსნობის შესახებ. „მთის მეცხოველეობას — კომკავშირული ზრუნვა!“ — ამ დევიზით გააჩაღეს თიანელმა ახალგაზრდებმა ბრძოლა მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ისინი დედაქალაქელ სტუდენტებს იწვევენ მთაში, რომ მიეხმარონ პირუტყვის საკვების დაგროვებაში, ფერმების შეკეთებაში, პროდუქტების წარმოებაში. მათს მოწოდებას დედაქალაქის ახალგაზრდობა ერთხმად უნდა გამოეხმაუროს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმმა რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ხუთი ძირითადი პრობლემა დასახა. ეს არის პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცება, სულადობის გაზრდილი მატება, ჯიშთსანაშენე საქმის ახლებურად მოწყობა, პირუტყვის ვეტერინარული მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესება და ფერმებში სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება.

მეთვრამეტე პლენუმის შემდეგ სამ წელზე მეტი გავიდა. რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების ხუთი პრობლემის განსახორციელებლად ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. ბევრ რაიონსა და საწოგადოებრივ მეურნეობაში საჭიროზე მეტ საკვებს ამზადებენ, სულადობაც დღითიდღე მატულობს, ჯიშთსანაშენე საქმეც კარგად მოაწყვეს, გაუმჯობესდა ვეტერინარული მომსახურებისა და ფერმების მექანიზაციის საქმე. მახარაძის, ცხაკაიას, გარდაბნის, საგარეჯოს რაიონების ბევრმა საწოგადოებრივმა მეურნეობამ შარშან პირუტყვის საკვები საკმაოდ მოიმარაგა. ამიტომ აქ კარგად გამოაზამთრეს პირუტყვი, გაუმჯობესეს ფერმების მექანიზაცია და პირუტყვის მოვლა, გადიდეს სულადობა, პროდუქტების წარმოება და დამზადება. ცხაკაიას რაიონმა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების პირველი კვარტალის დავალება დიდი გადამეტებით შეასრულა. მახარაძელებმა პირუტყვის სულადობის მატებას, პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულებას სანიმუშო ვეტერინარული მომსახურების, ფერმებში მექანიზაციის ფართოდ დანერგვის და სულადობის გადიდების გზით მიაღწიეს. ასევე ითქმის გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონების ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობებზე.

უკანასკნელ წლებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის საყოველთაო-სახალხო საქმეში ყველა საწოგადოებრივი მეურნეობა როდია ჩაბმული, ყველგან მონდომებით როდი იბრძვიან საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. სამწუხაროდ, ჩამორჩენილი რაიონების მიზეზით შარშან რესპუბლიკამ ვერ შეასრულა უხეში საკვების, სილოსის, ბალახის ფხვნილისა და საკვები ძირხვენების დამზადების გეგმები. ამის გამოა, რომ ზოგიერთ რაიონში იკლო ძროხის წველადობამ. წლეულს განვლილ ორ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ძროხის საშუალო წველადობამ მკვეთრად იკლო ზნაურის, ჩოხატაურის, სოხუმის, ქარელისა და სხვა რაიონებში. ზნაურის რაიონში საშუალო წველადობა 40 კილოგრამით შემცირდა, ჩოხატაურისაში — 55 კილოგრამით, სოხუმისაში — 137 კილოგრამით. ეს შეუწყნარებელი ფაქტია. ამ რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა გადამჭრელი ღონისძიებები უნდა დასახონ და რაც შეიძლება მალე დაძლიონ ჩამორჩენა.

ამას წინათ გაზეთი „პრავდა“ მოწინავე წერილში სამართლიანად წერდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფერმებში ხორცის წარმოება ნელი ტემპით მატულობს და ჯერ კიდევ არის ისეთი მეურნეობები, რომლებიც 800 კილოგრამზე ნაკლები წონის პირუტყვს აბარებენ. სწორედ ამის მიზეზია, რომ 15 მარტისათვის ხორცის დამზადების პირველი კვარტალის გეგმები სანახევროდაც არ ჭქონდათ შესრულებული ასპინძის, ყვარლის, დუშეთის, თერჯოლის, გორის რაიონებს. ამის გამო ფერხდება რესპუბლიკის მშრომელთა ხორცით მომარაგების საქმე. პირველ კვარტალში რესპუბლიკის ხორცის გადამმუშავებელ მრეწველობას უნდა მიეღო 23.111 ტონა პირუტყვი, 15 მარტისათვის მხოლოდ გეგმის 71 პროცენტი, ანუ 16,367 ტონაა მიღებული. ეს შეუწყნარებელია და ამაზე მთელი სერიოზულობით უნდა იმსჯელონ ჩამორჩენილი რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, იმ საწოგადოებრივი მეურნეობებისა და ფერმების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც თავიანთი დაუდევრობით მოსახლეობის ხორცით მომარაგება შეაფერხეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის დეკემბრის პლენუმზე გადაჭრით ითქვა, რომ ბოლო უნდა მოეღოს პირუტყვის სულადობის მატებაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამ პლენუმზე მიღებული დადგენილებიდან, ეტყობა, სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკისა და სხვა რაიონების საწოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, ფერმების სპეციალისტებმა. წლევანდელი წლის პირველ ორ თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ახალქალაქის რაიონში 282-ით ნაკლები ხბო მიიღეს. ხოლო ბატკანი — 392-ით ნაკლები. ბოგდანოვკის რაიონში 295-ით ნაკლები ხბო და 3.403-ით ნაკლები ბატკანი მიიღეს, წალკელებმა კი ორ თვეში 639-ით ნაკლები ხბო, 1.406-ით ნაკლები ბატკანი, 78-ით ნაკლები გოჭი მიიღეს. რესპუბლიკაში განვლილ ორ თვეში შარშანდელთან შედარებით 4.149-ით ნაკლები ხბოა მიღებული. ჩამორჩენას ამინდს ვერ დავაბრალებთ, ზამთარი ნამატის მიღებისათვის ხელსაყრელი იყო. ჩამორჩენა ძირითადად დაუდევრობის, მინდობილი საქმის უსულგულო დამოკიდებულების შედეგია.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი რეზერვებია საწარმოებში სურსათის ნარჩენებით პირუტყვის გამოზრდა-გასუქება, აგრეთვე საკარმიდამოში მომრავლება. ამ რეზერვების ამოქმედებაზე ყველგან შეუნელებლად უნდა ვზრუნავდეთ.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის საწოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ სახოფლო-სამეურნეო ორგანოები, პარტიის მთელი რიგი რაიკომები და რაისაბჭოს აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ პარტიისა და მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რომლებიც ეხება საკვებწარმოების, საკვების გამდიდრებას და მის რაციონალურ გამოყენებას, არ იღვწიან საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის.

გაზაფხულზე წყდება პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი საქმე. ახლა თესვის ამ დღეებში ეყრება საფუძველი საკვები კულტურების სიუხვეს. ვინც დროზე და მაღალხარისხოვნად დათესავს საკვებ კულტურებს, ვინც კარგად, აგროწესების ზუსტი დაცვით მოუვლის ნათესებს, ის უხვ მოსავალსაც მოიწევს და პირუტყვისათვის მტკიცე საკვებ ბაზას შექმნის. ამიტომ თესვის კამპანია აგროვადებში და წესების დაცვით უნდა ჩატარდეს.

ჩვენს მეცხოველეობაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. მათი ამოქმედება, სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაყენება და ამ გზით შრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება რაიონული პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანაა და მისი განხორციელებისათვის ენერგია არ უნდა დავიშუროთ!

თავი გამოიჩინა

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მდინარე კოდორის ველზე გამოუყენებელ მიწებზე მეღორეობის ფერმა გაშენდა, რომელმაც პირველივე წელს სახელმწიფოს 44 ტონა ხორცი ჩააბარა.

მეურნეობამ, რომელსაც ამჟამად გულრიფშის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანება ეწოდება, ხუთწლედის მეოთხე წელს 327 ტონა ხორცი უნდა ჩააბაროს. ამ მეურნეობის მშრომელებმა მარტის შუა რიცხვებში სოხუმის ხორცკომბინატს უკვე 117 ტონა ხორცი ჩააბარეს.

შარშან მეურნეობის სამძღვარე რამდენჯერმე გაიზარდა. ამჟამად აქ 2200 სული ღორი ჰყავთ.

სურათზე: მადონა ინჯგია გულრიფშის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანების მეღორეობის ფერმაში კომკავშირული საგზურით მოვიდა. ამჟამად „იგი ერთ-ერთი საუკეთესო მეღორეა.

ი. ბოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს ჩვენი ერის ბედია

საქართველო უნდა გადაიქცეს მაღალგანვითარებულ მეცხოველეობის რესპუბლიკად — ისეთი ამოცანა დაგვისახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ეს ამოცანა აუცილებლად უნდა შესრულდეს, რადგან ამ დევიზის მიღმა მეტი რაც და ხორცი იგულისხმება.

საქართველოს მთიანეთი იყო და დღესაც არის რესპუბლიკის ის მხარე, სადაც უნდა განვითარდეს მესაქონლეობა, მით უმეტეს, რომ საამისოდ შესაფერი ბუნებრივი პირობები გარდა, ჩინებული ტრადიციებიც აქვთ.

ვესტუმრეთ თიანეთს.

ამ რაიონში ფშვილები და ხევსურები ცხოვრობენ. მათში ძალუმ არის გამჯდარი საქონლის სიყვარული. ერთი ეს არის, ცეცხლი ამ სიყვარულის ცოტა მინელდა და მას დღეს გაღვივება სჭირდება. აკი თვითონვე ამბობენ თიანელები გულნაკლულად, ადრე სამ-ოთხჯერ მეტი ცხვარ-ძროხა გვყავდაო.

ღორი კი ბევრი ჰყავთ დღეს თიანელებს. 20 ათას სულამდე იქნებოო გვითხრეს.

მივუბრუნდეთ მთავარს, თიანეთის რაიონში შემცირდა კერძო მშრომელთა მსხვილფეხა პირუტყვი და ცხვარი. შემცირდა იმ მიზეზით, რომ მას მეტი გარჯა და რუდუნება სჭირდება.

საზოგადოებრივ მეურნეობებში? აქაც ბევრი რამ ვერ არის რიგზე.

ჩვენ გავეცანით ერწოსა და ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მესაქონლეობის ფერმებს. ორივე მეურნეობა რაიონში საუკეთესოა. პირველმა შარშანდელი შედეგებისათვის მიიღო რაიონული გარდამავალი დროშა, ხოლო ორხეველებმა ჯერ კიდევ 11 მარტისთვის შეასრულეს პირველი კვარტალის გეგმა-ვალდებულება და 1170 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 1172 ცენტნერი რძე. მაგრამ ეს გახლავთ, როგორც იტყვიან, მედლის ერთი მხარე, აი მედლის მეორე მხარე კი, კარგსა და სასიხარულოს ვერაფერს გვეუბნება.

ერწოს მეურნეობის ფერმებში საქონლისთვის საკმარისი და შესაფერისი ბინები არა აქვთ. ზოგჯერ ბაგასთან ერთის ადგილზე ორი ძროხა აბია. მოგეხსენებათ, ერთ ბაგაში ორი ძროხის სამყოფი საკვები არ დაეტევა. ულუფის დამატება ორმაგი შრომაა და ყველაფერი ეს უარყოფითად მოქმედებს საქონლის კვებაზე. პირდაპირ აქედან გამომდინარე კი, ცუდია. წველადობის ხარისხი. ახალოგიური მდგომარეობაა ორხევის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო სხვა მეურნეობებში რამდენადმე უარესიც.

თქმა იმისა, რომ ყველაფერი ეს თიანელების ბრალია, — უსამართლობა იქნებოდა. როგორც მეურნეობის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, მშენებლობისათვის ისევ ცოტა მასალებია გამოყოფილი, მათი წარმომადგენლები კი მასალებზე წასულები — ბევრჯერ ხელცარიელები ბრუნდებიან, ის ცოტაც ვერ მოაქვთ. ფუთობით კი არა, წლობით ელოდებიან მათზე გამოყოფილ ცემენტს, სახურავსა და ხე-ტყეს.

რაიონში ძალზე მტკივნეულად დგას პირუტყვის საკვების პრობლემა. კომბინირებული საკვები შემოაქვთ. მაშასადამე, აქაც სხვებზე არიან დამოკიდებულნი.

ვფიქრობთ, რომ თიანეთში მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისთვის უთუოდ უნდა გაუმჯობესდეს საკვები ბალახების ნათესების სტრუქტურა.

უნდა გაიზარდოს აგრეთვე მრავალწლიანი ნათესი ბალახების ფართობები. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ჭარხლის თესვასა და მოყვანას. ჭარხალი ხომ წველადობის გაზრდის საუკეთესო საშუალებაა.

ვიცით, რომ ჩვენი ვარაუდები ამჯერად სხვაგვარ კითხვას ბადებს — სად დავთესოთ?

თიანეთი მთიანი რაიონია. უნდა ვთესოთ რაციონალურად, თითოეული გოჯის გამოყენებით. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დაგვეთანხმებიან, რომ ასათვისებელი ადგილები რაიონში ბევრია. უფრო მეტიც, ზოგჯერ ფერმისპირა ფართობებს ჯეროვნად ვერ იყენებენ.

საგულისხმო და უთუოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ თიანეთის რაიონში ყოველწლიურად ითესება კარტოფილი და ლობიო, მაგრამ ამით მეურნეობები ფაქტიურად ვერავითარ შემოსავალს ვერ ფლობენ.

რესპუბლიკის კარტოფილის წარმოებაში, თიანეთის რაიონის კარტოფილის მოსავალს სულ ოდ რაღაც 0,001 პროცენტი უჭირავს. ხოლო მისი თვითღირებულება 2,5-ჯერ მეტია რესპუბლიკაში კარტოფილის წარმოების თვითღირებულებასთან შედარებით.

ალბათ უკეთესი იქნებოდა, რომ იმ ფართობებზე, სადაც თიანელებს ლობიოსა და კარტოფილის ასეთი მცირე მოსავალი მოჰყავთ, დაგვეთესა ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები ბალახები.

მეცხოველეებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ მთის სოფლები: ქიაურისა და ვერხვლის, შარახევისა და ბოდახევის მიდამოები.

— რა თქმა უნდა, თიანეთის რაიონის მეცხოველეთა მაჩვენებლები მეტად მცირეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმის გადაწყვეტილებათა ფონზე. — გვითხრა საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მერლანმა. იგი სპეციალობით ზოოტექნიკოსია, რაიონს უკვე ძალზე კარგად იცნობს, და ამდენად საყურადღებოა მისი მოსაზრებები, როგორც სპეციალისტისა და როგორც რაიონის თავკაცისა:

— მეცხოველეობაში ჯერ კიდევ გაგვაჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი. სათანადოდ ვერ ვიყენებთ არსებულ რეზერვებს და შესაძლებლობებს.

წინა წლების ანალიზი ცხადყოფს, რომ გეგმიერთან შედარებით დამაფიქრებელია მეცხოველეობის განვითარების უმთავრესი მაჩვენებლები. მეცხოველეობის დარგის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იყო ნამატის მიღების დაბალი პროცენტი.

ხორცის წარმოების გადიდების მიზნით ვაშენებთ ჰალოვეის ჯიშის საქონელს. გვაქვს მანგალეცის ჯიშის ღორის სანაშენე ფერმა, რომელიც მოზარდეულს აძლევს რესპუბლიკის რაიონებს.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში სათანადო სამუშაოები ტარდება ამორიგენული ჯიშების, კერძოდ, ხევსურული ჯიშის საქონლის აღდგენისათვის. ასევე ვფიქრობთ მოვაშენოთ თუშური ჯიშის ცხვარი.

— ბოლო ორ-სამ წელიწადში მეცხოველეობაში ძირითადად კომკავშირელები იმუშავებენ.

მათვე აიღეს ვალდებულება, რომ მრავალწლიანი ბალახების ნათესებიდან წელიწადში ორი მოსავლის მიღების მიზნით, გამოიყენონ მცირე მელიორაციის საშუალებები და 1980 წლისათვის გაასარწყაონ 500 ჰექტარი ფართობი.

რეზერვების ასათვისებლად იმ მთიან სოფლებში, რომლებშიც შემცირდა მოსახლეობა, ააშენებენ მეცხოველეობის ფერმებს.

თიანელმა ახალგაზრდებმა თქვეს, რომ ჯერ კიდევ ცუდია მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობები, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. მათვე ივალდებულეს, რომ საზაფხულო საძოვრებზე, სადამდეც მიდის ავტომანქანა, ააშენებენ ოროთახიან საცხოვრებელ ბინებს აგურით, ან ბლოკით. ამით ერთხელ და სამუდამოდ მოეღება ბოლო იმ ხარჯებს, რასაც მეურნეობები ყოველწლიურად ეწევიან პრიმიტიული ბინების მოსაწყობად.

ჩვენი ინიციატივა, — ამბობენ ახალგაზრდები, მთის მეცხოველეობას კომკავშირული ზრუნვა! დიდ მხარდაჭერას მოითხოვს. ჩვენ ვთვალისწინებთ მეცხოველეობის განვითარებას არამარტო საზოგადოებრივ მეურნეობებში, არამედ კერძო სექტორშიც.

თიანელი ახალგაზრდების ინიციატივა ითვალისწინებს მთის სოფლებში სტუდენტთა მესამე შრომითი სემესტრის მოწყობას, სასურველია, ამბობენ ისინი, რომ თავდაპირველად თუნდაც ზოოვეტერინალური ინსტიტუტის სტუდენტებმა მიაშურონ ზაფხულობით საქართველოს მთიანეთს.

თუ ჩვენ საქართველოს მთიან რაიონებში მესაქონლეობა უნდა ავაღორძინოთ, ადგილობრივი ჯიშის პირუტყვს გვერდს ვერ ავუვლით. ჩვენი ბუნებრივი პირობები მთაგორიანი რელიეფი და არსებული საკვები რეზერვები პირდაპირ გამოგვადგება ადგილობრივი ჯიშის პირუტყვის შესანახად.

რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის ამჟამინდელი კურსი მოწმობს, რომ ჩვენ ძირეულად უნდა გარდავქმნათ მეცხოველეობა. ამ საშვილიშვილო ღონისძიების შემომქმედნი კი არიან ადამიანები. თიანეთის რაიონში ის ფშავ-ხევსური მშრომელები, რომლებსაც ტრადიციულად უყვარდათ, უყვართ და კვლავაც ეყვარებათ ცხვარ-ძროხა.

ჩვენი მიზანია ეს სიყვარული უფრო გავაღვივოთ. წინაპართა შრომითი ტრადიციების ესტაფეტა უნდა მიიღოს ახალგაზრდობამ.

ამ დღეებში თიანეთის რაიონის ახალგაზრდებს დიდი თავყრილობა ჰქონდათ. მათ კომკავშირული აქტივის კრებაზე მიიწვიეს რაიონის ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცხოველეები, ახალგაზრდებმა აიღეს ინიციატივა — გადააქციონ თიანეთი მეცხოველეობის განვითარებულ რაიონად. კომკავშირელებმა ვალდებულება დასახეს:

მეცხოველეობის ფერმების მშენებლობის გამოაცხადებენ კომკავშირულ-დამკვრელურ მშენებლობად.

ახალგაზრდები იმუშავებენ საკვების დამზადებაზე, როგორც თიანეთში, ასევე შირაქის საზამთრო საძოვრებზე.

წლეულსვე ასამდე ახალგაზრდა იქნება ფერმებში. ხოლო ორ წელიწადში მეცხოველეობაში ძირითადად კომკავშირელები იმუშავებენ.

ამ ინიციატივას ეხმიანებიან ბოლნისი, ყვარელი, ბორჯომი, ასპინძა, ადიგენი, ახალციხე, ახალქალაქი, ალავერდი, ბოგდანოვკა, ბაკურიანი, ბაზალეთი, ბაკაკო, ბაკურიანი, ბაზალეთი, ბაკაკო, ბაკურიანი, ბაზალეთი, ბაკაკო

გავაძლიეროთ ბრძოლა მუქთახორების წინააღმდეგ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევიან სიღნაღისა და ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის თავისუფლებელ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სიღნაღისა და ბოლნისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობით რამდენადმე გააქტიურეს იმათ წინააღმდეგ ბრძოლა, ვინც ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა.

ამასთანავე მინისტრთა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნული რაიონების საბჭოების აღმასკომები, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ არ ეწევიან უკომპრომისო ბრძოლას დამნაშავეობისა და მუქთახორობის წინააღმდეგ, როგორც ამას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვენ.

ამ მხრივ სიღნაღისა და ბოლნისის რაისაბჭოების აღმასკომების მუშაობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ისინი სუსტად წარმართავენ სასოფლო საბჭოების აღმასკომების, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებების, უბნის ინსპექტორების მუშაობას, არ ისმენენ მათს ანგარიშებს და ინფორმაციას მუქთახორებს წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, არ აქვთ შემუშავებული მათი გამოვლენის, შრომითი მოწყობისა და შემდგომი მეთვალყურეობის ერთიანი სისტემა. ამის შედეგად ქალაქებში სიღნაღში, ბოლნისში, წყნორში, სოფლებში — ქვემო ბოლნისში, ძველ ანაგაში, მაღაროში, ულიანოვკაში, დაბა კაზარეთში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლა ფაქტიურად თვითდინებაზეა მიშვებული. ჯერ კიდევ დიდია იმათი რიცხვი, ვინც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადგილობრივი საბჭოების ორგანოები არ იღებენ ქმედითს ზომებს იმ კონკრეტული მიზეზების აღსაკვეთად, რომელთა წყალობით შესაძლებელი ხდება ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ცხოვრება.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ვერ მოუღწევიათ იმისათვის, რომ მშრომელთა კოლექტივები, ადმინისტრაციული ორგანოები და უწინარეს ყოვლისა, შინაგან საქმეთა განყოფილებები მკაცრად და პრინციპულად ებრძოდნენ მუქთახორებს და დროზე ახორციელებდნენ მათ მიმართ კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ამის შედეგად ბევრი იმათგანი, ვინც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაუსჯელი რჩება.

ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელები მუქთახორებს ეხმარებიან კანონით გათვალისწინებული სასჯელის თავიდან აცილებაში და შრომითი საქმიანობის ფიქციურ ცნობებს აძლევენ, მაგალითად, 1978 წელს ფიქციური ცნობები გასცეს ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის სახლმმართველობამ (მმართველი ი. ციმაკურიძე) და ქვეშის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობამ (ყოფილი დირექტორი ტ. ალავიძე). მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომმა ყოველივე ეს იცოდა, მან აღნიშნულ ფაქტებს არავითარი შეფასება არ მისცა.

სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომები ხშირად სჯერდებიან მარტოოდენ იმას, რომ სამუშაოდ გზავნიან შრომითი საქმიანობისათვის თავისუფლებელ პირებს, მაგრამ შემდეგ აღარ კითხულობენ, დარჩნენ თუ არა ისინი ამ სამუშაოზე, მაგალითად, ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის მიერ გაგზავნილ მოქალაქეთაგან თითქმის ნახევარმა თავი დაანება სამუშაოს, მაგრამ არც აღმასკომს და არც მის შინაგან საქმეთა განყოფილებას აღარ უკითხავთ მათი ბედი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლნისისა და სიღნაღის რაიონებში ფორმალურად ჩატარდა მუქთახორობასთან ბრძოლის ერთთვიური, ხოლო რაიონულმა კომისიებმა (თავმჯდომარეები — რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილენი ფ. ნატროშვილი და ო. ბეჟანიშვილი) უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს და სათანადო დონეზე არ დააყენეს ეს საქმე. კომისიები არ აღრიცხავენ მუქთახორებსა და იმ პირებს, ვინც თავს არიდებს შრომას.

ბოლნისისა და სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოების აღმასკომებს, ადმინისტრაციულ და სამეურნეო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ მუქთახორებისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის თავისუფლებელ პირთა შრომითი მოწყობა და სამუშაოზე დატოვება დამნაშავეობასთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ ეწევიან სათანადო მუშაობას საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომს არც კი განუხილავს მუქთახორობასთან ბრძოლის ეფექტიანობის ერთთვიურის შედეგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ მითითების მიუხედავად, რომ 1979 წელს უნდა გაძლიერებულიყო მუშაობა პარაზიტი ელემენტების გამოსაყენებლად და შრომითს საქმიანობაში ჩასაბმელად, ბოლნისის რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა და მათთან შექმნილმა მიზნობრივმა კომისიებმა ფაქტიურად შეწყვიტეს მუშაობა ამ მიმართულებით.

სიღნაღისა და ბოლნისის რაიონებში მუქთახორებისა და შრომისათვის თავისუმრიდებელ პირთა წინააღმდეგ ბრძოლაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რაისაბჭოების აღმასკომები, ადგილობრივი საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები ჯერ კიდევ არ ეწევიან სათანადო ბრძოლას საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩასაბმელად და მათ მხოლოდ ფორმალურად დაუჭერეს მხარი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის, ქალაქ წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკის და ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სოფლის ყრილობათა მოწოდებას ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბოლნისისა და სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობა მუქთახორებისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის თავისამრიდებელ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში არადამაკმაყოფილებლად ცნო. ამასთანავე მათი ყურადღება მიეპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია ბრძოლის შესუსტება მუქთახორებისა და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ, უპრინციპობა და ფორმალიზმი ამ საქმეში.

ბოლნისისა და სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მ. აღიევსა და ჯ. გოგინაშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ბოლნისისა და სიღნაღის რაიონებში, აგრეთვე მთელ რესპუბლიკაში მუქთახორებისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის თავისამრიდებელ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

(საქინფორმი).

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

— **სად** მდებარეობს თუშეთი?

— როგორ შეიძლება იქ მისვლა?

— რამდენ ხანს იღებდით ფილმს?

— როგორ მოახერხეთ, რომ არაპროფესიონალი მსახიობები კამერის წინ ასე ბუნებრივად იქცევიან?

ეს და კიდევ მრავალი სხვა კითხვა დაუსვეს სატელევიზიო ფილმის „თუში მეცხვარეების“ დამდგმელ რეჟისორს სოსო ჩხაიძეს. ამ ფილმით 1 აპრილს მოსკოვის ლიტერატორის ცენტრალურ სახლში დაიწყო ქართული კინოს საღამოები, რომელიც დედაქალაქის მშრომელებთან რესპუბლიკის მწერალთა შემოქმედებითს შეხვედრებს მიეძღვნა. ამ კითხვებში გამოვლინდა მადლიერებისა და აღფრთოვანების გრძნობა, რაც ფილმის დემონსტრაციის დროს მაყურებლებმა მრავალჯერ დაადასტურეს ტაშით. ფილმის დამთავრების შემდეგ კი მათ სოსო ჩხაიძესა და სცენარის ერთ-ერთ თანაავტორს ამირან ჭიკვინაძეს ნამდვილი ოვაცია გუმართეს.

— დიდი ხანია არ მსმენია აქაური მაყურებლის ასეთი ტაში, — თქვა ჩვენს გვერდით მჯდომმა ცნობილმა მოსკოველმა ჟურნალისტმა ნუმ მარმა, — ლიტერატორის ცენტრალური სახლის საზოგადოება მომთხოვნი და მკაცრი მაყურებელია, მისი ასეთი ემოციის გამოწვევა არც ისე ადვილია...

„ლიტერატურის“ დაწყებამდე ჟურნალისტებმა ხმამოღებულ რეპორტიორებს, რომ სულ ბოლოს ეს ფილმი დაახლოებით სამ საათნახევარი გრძელდება. ორი სერიის შემდეგ მოეწყო ხანმოკლე შესვენება, ხოლო ფილმის დასასრულს, როცა უკვე თერთმეტი საათი სრულდებოდა, დარბაზი ისევე სავსე იყო აღფრთოვანებული მაყურებლით, როგორც ფილმის დაწყების წინ.

ფილმის ავტორებთან ერთად წარმატებით გამოწვეულ სიხარულს იზიარებდა შესავალი სიტყვის ავტორი მარლენ ხუციევიც, რამეთუ ის, რაც მან ფილმის დაწყებამდე თქვა, სავსებით დამოუკიდებელ დარბაზის განწყობილებას, ფილმის სპეციალურ შეფასებას. მან კი აი რა თქვა:

— იმედი მაქვს, რომ ესოდენ საპატიო აუდიტორია მიიღებს ამ ფილმს და იგი სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს მის გულში. ქართულ კინოს ახასიათებს ერთი უდავო თვისება: მისი შემოქმედნი სიყვარულით ძერწავენ საკუთარი ხალხის სახეს. ეს ის სიყვარულია, რიცა ხელოვანი პიროვნებელად, შეულამაზებლად ქმნის ნაწარმოებს და გაბედულად ასახავს საჭირბოროტოს, სასაცილოს კი ირონიულად დასცინის...

ასეთია ფილმი „თუში მეცხვარეები“, რომელსაც საქართველოს უმშვენიერესი პრემია — რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა... იგი ჩემთვის ერთგვარად კალატოზოვის ფილმს „სვანეთის მარილს“ ეხმიანება.

თუში მეცხვარეების ბრიგადის ერთი წლის ცხოვრებამ ნელა ჩაიარა ეკრანზე და ბევრ საინტერესოს გვაზიარა. ფილმი მარტო ადამიანთა ხასიათებით როდი გვხიბლავს. უკანასკნელ კადრებში ფოტოკორესპონდენტმა გმირებს ნაბდები მოასხა და მეცხვარის ქუდები დაახურა. უკანა რიგებიდან სიცილთან ერთად გაისმა ვიღაცის სიტყვები:

— აი შესანიშნავი გაკვეთილი! გმირები კი არ უნდა შეალამაზო, მათ უნდა გაუტოლდე, ისევე, როგორც ეს ფილმის ავტორებმა ქნეს.

თ. მამალაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-32“ — „პროგრეს-5“:

ფრენა პროგრამის მიხედვით

ფრენის მართვის ცენტრი, 2 აპრილი (საკადესი). დამთავრდა „სალუტ-6“ ორბიტული სადგურით ვლადიმერ ლიახოვისა და ვალერი რიუმინის ფრენის მეხუთე კვირა.

შაბათ-კვირას კოსმონავტები სადგურზე ასრულებდნენ სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებს, ფიზიკური ვარჯიშს, გარდა ამისა, ამ დღეებში გარეშოს შესწავლის პროგრამის მიხედვით ეკიპაჟმა მოაწყო დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიუმის ცალკეული რაიონების ვიზუალური დაკვირვება. 31 მარტს დანადგარ „კრისტალთან“ შესრულდა მორიგი ექსპერიმენტი საფრანგეთის მიერ წარმოდგენილ მასალებზე.

დღეს ორბიტულ კომპლექსში სამუშაო დღე, ჩვეულებრივ, დილის 8 საათზე დაიწყო.

სამედიცინო კვლევის პროგრამის მიხედვით კოსმონავტებმა შეამოწმეს თავიანთი წონა და კუნთების მოცულობა, რომლებზეც ფრენის დროს დიდი დატვირთვა არ ხდება. დღის მანძილზე მუშაობისა და ფიზიკური ვარჯიშის დროს სრულდებოდა ექსპერიმენტი, რომელშიც გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის ობიექტურ კონტროლთან ერთად უკიპაჟი ადგენდა თავის სიმხნეევეს. ექსპერიმენტი სრულდება პორტატიული ხელსაწყოს დახმარებით, რომელიც არ ბორკავს კოსმონავტს მოძრაობისას.

მთავრდება ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში „პროგრეს-5“ სატვირთო ხომალდის ფრენის პროგრამა. ხომალდში გადატანილია ნახმარი მოწყობილობა, რეგენერატორები, მავნე მინარევების შთანთქმელები, საჭმელ-სასმელის კონტეინერები.

ნაშუადღევს „პროგრეს-5“ ხომალდის ძრავის დანადგარის მეშვეობით შესრულდა კომპლექსის ორბიტის სიმაღლის გაზრდის კიდევ ერთი მანევრი.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად „სალუტ-6“ — „სოიუზ-32“ — „პროგრეს-5“ სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მოქმედებს. კომპლექსის ნაკვეთურებში მიკროკლიმატის პარამეტრებია: ტემპერატურა ცელსიუსის 20 გრადუსი, წნევა — 770 მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტი.

კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲘ

ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს მხარდაჭერით დაიწყო ყაკარდული შალნარევი ხალიჩების გამოშვება ქართული ეროვნული ორნამენტებით.

ქართული ხალიჩების საცდელმა პარტიამ სპეციალისტების დადებითი შეფასება მიიღო. ამჟამად საწარმოში მათი მასიური გამოშვება დაიწყო. სურათებზე: ფაბრიკის უფროსი ინჟინერი, ქიმიკოსი ინგა რომანოვა (მარცხნივ), ინჟინერ-დიზაინატორი ციცინო ხაბურზანია (ცენტრში) და საქსოვი უბნის უფროსი ბაია აშოთია ახალი ქუთაისური ხალიჩების ხარისხს ამოწმებენ; ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის საქსოვი საამქროს მოწინავე მქსოველი ადელია სვანი. იგი 18 წელზე მეტია საწარმოში შრომობს, ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი სანიმუშო სპეციალისტი აღზარდა. ამ სურათზე ადელია სვანი (ცენტრში) თავის ახალ მოსწავლეებთან, დებთან იზოლდა და ლია შუკაძეებთანაა აღბეჭდილი.

ბ. ბერსამიასა და ზ. კრიმსკის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲓᲐᲰᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ გაიმართა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის 89-ე სხდომა. სხდომაზე განიხილეს თუ როგორ სრულდება ეკონომიკური ურთიერდახმარების საბჭოს სესიის 32-ე სხდომის გადაწყვეტილებანი. აღინიშნა, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში, სატრანსპორტო ურთიერთობის განვითარებასა და ამ დარგების საჭირო მანქანა-მოწყობილობით უზრუნველყოფაში გრძელვადიან მიზნობრივ პროგრამებზე მუშაობა დასახული ვადების მიხედვით მიმდინარეობს.

ხელი მოაწერეს გენერალურ შეთანხმებას სსრ კავშირის ტერიტორიაზე ხმელნიცკის ატომური ელექტროსადგურის გაერთიანებული მეცადინეობით მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ ამ სსრ კავშირის ხმელნიცკის ატომური ელექტროსადგურიდან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეეშუვის სადგურამდე 750 კილოვოლტი სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზისა და ეეშუვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში თანამშრომლობის შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხელშეწყობის შესახებ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მიმართულებით დაკავშირებით აღმასკომმა მოიწონა ამ დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი დაინტერესებული ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამა. განიხილეს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისათვის მატერიალური დახმარების გაწევისა და ამ საქმეში შემდგომი მოქმედების საკითხები.

აღმასრულებელმა კომიტეტმა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახელით მიიღო განცხადება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩინეთის აგრესიასთან დაკავშირებით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, კუბის რესპუბლიკამ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ, სსრ კავშირმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ მიიღეს ზომები, რათა სასწრაფოდ დახმარებოდნენ მომმე ვიეტნამელ ხალხს და აცხადებენ, რომ მტაცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველნაირად შეუწყონ ხელი ვიეტნამელი ხალხის მართალ საქმეს.

(საკადესი).

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲐᲪᲔᲛᲐ

ᲫᲐᲚᲗᲐ დიდ ჯგუფს, აგრეთვე პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს გადაეცათ მთავრობის ჯილდოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა ლენინის ორდენი გადასცა სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ს. ბ. ვირსალაძეს, რომელსაც ეს საპატიო ჯილდო მიენიჭა დიდი დამსახურებისათვის სახეთი ხელოვნების განვითარების საქმეში და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით.

მრავალშვილიან დედებს გადაეცათ „გმირი დედის“, „დედის დიდების“ მეორე და მესამე ხარისხის ორდენები, მეორე ხარისხის „დედობის მედალი“.

გადაეცათ აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები და სიგელები საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ ს. ბ. ვირსალაძე, დიასახლისები თ. ა. ტრუშჩელევა და რ. ა. ენდელაძე, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი გ. ნ. კურტანიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ი. ოიოტბაკი, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საერთო საქმეში მათი მოკრძალებული წვლილის მაღალი შეფასებისათვის, პირობა დადეს, რომ კიდევ უფრო უკეთ იშრომებენ ხალხის საკეთილდღეოდ.

ამხ. ჰ. გ. გილაშვილმა მხურვალედ მიულოცა დაჯილდოებულთ. განსაკუთრებული გულთადმბით ილაპარაკა მან ჩვენს სახელოვან ქალებზე. მან ქალებს უსურვა ჯანმრთელობა და აღნიშნა, რომ ჩვენში დედები მთელი საზოგადოების ზრუნვით არიან გარემოსილი. შვილების აღზრდისათვის მათი ძნელი, მაგრამ საპატიო შრომა ღირსეულად ფასდება.

ჰ. გ. გილაშვილმა ყველა დაჯილდოებულს უსურვა ამრავლონ წვლილი პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

(საქინფორმი).

ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲕᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲓᲐᲰᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ გაიმართა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის 89-ე სხდომა. სხდომაზე განიხილეს თუ როგორ სრულდება ეკონომიკური ურთიერდახმარების საბჭოს სესიის 32-ე სხდომის გადაწყვეტილებანი. აღინიშნა, რომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში, სატრანსპორტო ურთიერთობის განვითარებასა და ამ დარგების საჭირო მანქანა-მოწყობილობით უზრუნველყოფაში გრძელვადიან მიზნობრივ პროგრამებზე მუშაობა დასახული ვადების მიხედვით მიმდინარეობს.

ხელი მოაწერეს გენერალურ შეთანხმებას სსრ კავშირის ტერიტორიაზე ხმელნიცკის ატომური ელექტროსადგურის გაერთიანებული მეცადინეობით მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ ამ სსრ კავშირის ხმელნიცკის ატომური ელექტროსადგურიდან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეეშუვის სადგურამდე 750 კილოვოლტი სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზისა და ეეშუვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლოატაციაში თანამშრომლობის შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხელშეწყობის შესახებ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მიმართულებით დაკავშირებით აღმასკომმა მოიწონა ამ დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი დაინტერესებული ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამა. განიხილეს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკისათვის მატერიალური დახმარების გაწევისა და ამ საქმეში შემდგომი მოქმედების საკითხები.

აღმასრულებელმა კომიტეტმა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახელით მიიღო განცხადება ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩინეთის აგრესიასთან დაკავშირებით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, კუბის რესპუბლიკამ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ, სსრ კავშირმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ მიიღეს ზომები, რათა სასწრაფოდ დახმარებოდნენ მომმე ვიეტნამელ ხალხს და აცხადებენ, რომ მტაცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველნაირად შეუწყონ ხელი ვიეტნამელი ხალხის მართალ საქმეს.

(საკადესი).

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ

ᲙᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი შესანიშნავი გამოხატულებაა, ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობისა და სიყვარულის დასტურია. ეს აზრი იყო ლეიტმოტივი ამ დღეებში გამართული პლენუმისა, რომელსაც ესწრებოდნენ ოლქის სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანოების ხელმძღვანელნი მუშაკები.

მოხსენება — „სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ პარტიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა და საოლქო პარტიული ორგანიზაციების ამოცანები 1978 წლის ოქტომბრის ნოემბრის პლენუმების მოთხოვნათა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებისა და რეკომენდაციების მიხედვით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. სანაკოევმა.

მეორე საკითხზე — „სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 25 იანვრის დადგენილების შესრულების ორგანიზაციულ-პოლიტიკური უზრუნველყოფის საქმეში“ — მოხსენებით გამოვიდა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჰ. მარდანოვი.

როგორც მომხსენებლებმა, ისე კამათის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ დღეს ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის ახალი ჰორიზონტები გადაშლილი სამხრეთ ოსეთის მშრომელთა წინაშე. სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია სპეციალ ამოცანის წინაშე დგას,— დარაზმოს მშრომელები მაღალ დონეზე მოაწყონ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

სამხრეთ ოსეთისათვის, როგორც მთის ზონისათვის, ოდითგანვე დამახასიათებელია მეცხოველეობა. როგორ, რა საშუალებებით ვაწარმოოთ მეტი ხორცი და რძე? — ეს კითხვა იდგა თითოეული ორატორის წინაშე. პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიის მიერ შემუშავებული აგროსანერი პოლიტიკის მიხედვით ოლქის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მარალოანი გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. მნიშვნელოვნად განმტკიცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, 1973 წელთან შედარებით კაპიტალდაბანდება გაიზარდა 20 პროცენტით, სოფელი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით. ახლა ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირითადი ფონდი 22,5 მილიონ მანეთს შეადგენს. 11 პროცენტით გაიზარდა ენერგოსიმძლავრე, ამაღლდა შრომის ფონდაღჭურვილობა.

მეტი ყურადღება მიექცა მიწების ქიმიზაციასა და მელიორაციას. გეგმაზომიერად მმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეოთაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე.

ყოველივე ამის შედეგად სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1976-78 წლებში მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 48 პროცენტით. მათ შორის მემცენარეობაში—47 პროცენტით და მეცხოველეობაში — 48 როცენტით. სოფლის სოციალურ განვითარებაზე მეტყველებს ისიც, რომ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მოხმარების ფონდები გაიზარდა 3,6 პროცენტით. კოლმეურნის საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 960 მანეთს.

ამასთან ერთად პლენუმის მონაწილეებმა ისიც თქვეს, რომ მიღწეული დონე ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. მათ გაანალიზეს ჩამორჩენის მიზეზები. წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა შესრულების შემოწმებას, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას, სუსტია კონტროლი და მომთხოვნელობა, დაბალია პარტიული, სახელმწიფო, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დონე.

პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს რაიონული პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც სათანადოდ ვერ წარმართეს მუშაობა ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის თაობაზე პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესასრულებლად. პლენუმმა ოლქის ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოსაგან მოითხოვა ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის წარმოების ყველა დარგის განვითარება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამთო მეცხოველეობას, მტაციც სკვები ბაზის შექმნას, მთის საძოვრებისა და სათიბების გონივრულ გამოყენებას, სანაშენე მეურნეობის გაუმჯობესებას.

სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა.

მიღებულია ვრცელი დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 25 იანვრის დადგენილების შესრულებისათვის დაამტკიცა ღონისძიებათა გეგმა.

ბ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲖᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ

გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის, საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობის, ყოფილ მეცნ

საშვილიშვილო საქმე

აკაკი შანიძის სამეცნიერო შრომების თორმეტტომეულის გამოცემის გამო



ამ ორიოდე წლის წინათ ჩვენმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადების 90-ე წლისთავი. ღვაწლმოსილი მეცნიერის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოკვლევების შესწავლის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება აკაკი შანიძის თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემის შესახებ.

შეიქმნა გამოცემის მთავარი სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შეიდნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), თ. გამყრელიძე; პროფესორები ს. ჯორბენაძე, მ. შანიძე, ი. იმნაიშვილი.

— გთხოვთ გვაცნობოთ, რა გამოკვლევები შევა თორმეტტომეულში და როგორ განაწილდება ისინი ცალკეული ტომების მიხედვით? ამ კითხვით მივმართეთ სარედაქციო კოლეგიის მთავარ რედაქტორს აკადემიკოს შ. ძიძიგურს.

—მოგეხსენებათ, რა ფართო და მრავალმხრივია აკაკი შანიძის სამეცნიერო პრობლემატიკა, ქართველური ენების სტრუქტურა და ისტორია, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ტექსტოლოგია, ეპიგრაფიკა, ალბანოლოგია, ფოლკლორისტიკა, რუსთველოლოგია, — აი უმთავრესი დარგები, რომლებშიც ჩვენს დაუღალავ მეცნიერს ფუძემდებლური ნაშრომები აქვს შექმნილი.

ეს გამოკვლევები ცალკეული ტომების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდება: პირველ ტომში შევა ქართული ენის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი შრომები. მათ შორის იქნება ა. შანიძის მონოგრაფია — სადოქტორო დისერტაცია ქართული ენის პრეფიქსების შესახებ.

მეორე ტომი დაეთმობა ა. შანიძის შრომებს „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტოლოგიური საკითხების შესახებ.

მესამე ტომს დაიკავებს ა. შანიძის ფუძემდებლური შრომა „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც ასახავს თანამედროვე სალიტერატურო ენის გრამატიკულ (მორფოლოგიურ) წყობას, ფართოდ წარმოგვიდგენს ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებებს.

მეოთხე ტომში შედის ხანმეტ-ჰაეიტ ტექსტებთან დაკავშირებული გამოკვლევები და ისტორიული ხასიათის წარწერები.

მეხუთე ტომში — დიალექტოლოგიური ძიებანი და სხვადასხვა ხასიათის შრომები. მეექვსე ტომი დაეთმობა ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემათა წინასიტყვაობა-გამოკვლევებს.

XII საუკუნის ასტროლოგიური ძიება, აგრეთვე ეტიმოლოგიური გამოკვლევები შევა მეშვიდე ტომში. ამავე ტომში იქნება ა. შანიძის შრომები კავკასიის ალბანელთა ენისა და მწერლობის შესახებ, რითაც შეიძლება ითქვას დასაბამი მიეცა ახალ დისციპლინას — ალბანოლოგიას.

სასკოლო სახელმძღვანელოს დაეთმობა მერვე ტომი. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (წესდება) დაიკავებს მეცხრე ტომს. ძველი ქართული ენის სტრუქტურის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები — მეათე ტომს.

ფასდაუდებელი ამაგი დასდო ა. შანიძემ ქართულ დიალექტოლოგიას. იგი ნ. მართან ერთად ქართული დიალექტოლოგიის საფუძვლის ჩამყარელად გვევლინება. მისი ფოლკლორის დარგში გამოქვეყნებული ნაშრომები და აგრეთვე ხევსურული პოეზია შევა მეთერთმეტე ტომში. მეთორმეტე ტომი მიეძღვნება ა. შანიძის სხვადასხვა ხასიათის ნაშრომებს, წერილებს.

— ვინ გამოსცემს ამ თორმეტტომეულს და როდის მიიღებენ მას ჩვენი მკითხველები?

— ეს იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი გამოცემა და განზრახულია წელიწადში ორ-ორი ტომის დასტამბვა. ამჟამად გამომცემლობას უკვე გადაეცით პირველი და მეხუთე ტომი, რომლებსაც მკითხველი 1979-1980 წლებში მიიღებს.

ჩვენ ვთხოვთ მხცოვან მეცნიერს აკადემიკოს ა. შანიძეს ეამბნა, რა მონაწილეობას იღებს მისი სამეცნიერო შრომების გამოცემის საქმეში.

აი, რა გვითხრა მან:

— უდიდეს კმაყოფილებას და მადლიერებას გამოვთქვამ ჩვენი მთავრობისა და პარტიის მიმართ ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის ასე დაფასებისათვის.

თორმეტტომეულში თავს მოიყრის ჩემი ყველა გამოკვლევა, რომლებიც ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან გამომიქვეყნებია; ეს ნაშრომები განაწილებული იქნება შინაარსის მიხედვით, ამით დაინტერესებულ მკვლევარს საშუალება ექნება კი არ ეძიოს ისინი სხვადასხვა ჟურნალებსა და წიგნებში, ერთად ნახოს და გამოიყენოს.

ამჟამად თავს ვუყრი სხვადასხვა წლებში გამოცემულ ჩემს ნაშრომებს და თანდათანობით მივაწოდებ სარედაქციო კოლეგიას.

ლ. ხუბულური.

მოღვაწე პატიოსანი სიმართლე

იუალეთის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტში გაიხსნა ცნობილი მეთუნის აბრამ მრელაშვილის სახელობის [illegible] [illegible] ორიგინალური სურები, ფიალები, ლარნაკები, რომლებიც ავტორმა შექმნა კახეთის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი უძველესი თიხის ჭურჭლის ნიმუშების მიხედვით. სამოცდაათ წელს გადაბიჯა აბრამ მრელაშვილმა. ქართული ხალხური ხელოვნების უსაზღვროდ ტრფიალი ოსტატი სიყვარულით გადასცემს ახალგაზრდებს თავის გამოცდილებას, ხელმძღვანელობს მეთუნეობის ფაკულტეტს იყალთოს სახალხო უნივერსიტეტში, სადაც 100-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი ეუფლება ძველი ოსტატების „საიდუმლოებას“.

საერთაშორისო ცხოვრება

დედამიწის ზურგზე

იტალიელი კომუნისტების ფორუმი

რომი. (საკდესი). გაიხსნა იტალიის კომპარტიის მორიგი მე-15 კონგრესი, მის მუშაობაში მონაწილეობს დაახლოებით 1200 დელეგატი, რომლებიც ქვეყნის თითქმის 1800 ათას კომუნისტს წარმოადგენენ. კონგრესს ესწრებიან აგრეთვე მრავალრიცხოვანი სტუმრები, სხვა ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის სკკპ დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. პელშე.

იტალიელი კომუნისტების ფორუმის დღის წესრიგშია იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ე. ბელინგუერის საანგარიშო მოხსენება, თანამედროვე პირობებში პარტიის მიზნებისა და ამოცანების განხილვა, იტალიის კომპარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანა, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

გოკლედ

ყოველი მხრიდან

2 აპრილი

ვარშავა. პოლონეთმა სატყეო მეურნეობისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დღე აღნიშნა, ამ დარგის მუშრომელთა 300-ათასიანი რაზმი დღესასწაულს დიდი წარმატებებით ეგებება. ქვეყანაში ხეები დაირგა 100 ათას ჰექტარ ფართობზე. უზარმაზარ ტერიტორიაზე მოეწყო ტყის მოვლის სამუშაოები.

ტულბინგერ კოგელი (ქვემო ავსტრია). აქ დამთავრდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „სამხედრო მრეწველობის მშვიდობიან წარმოებაზე გადაყვანის პრობლემები“. იგი მოაწყვეს მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტმა და მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციამ.

ამ ფორუმში მონაწილეობდნენ 20 ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები, მათ შორის სსრ კავშირის მეცნიერები, ესწრებოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციების, აგრეთვე დასავლეთ ევრობის ქვეყნების მთელ რიგ პროფკავშირთა წარმომადგენლები. სიმპოზიუმის მონაწილეთა მიერ მოწონებულ კომუნიკეში ხაზგასმულია, თუ რაოდენ საჭიროა შეისწავლონ იმ ამოცანების მთელი კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებასთან

ბაღდადი. ბაღდადში გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე პალესტინის განთავისუფლებ ი ს ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარის ი. არაფატის ერაყში ყოფნის დამთავრების გამო. ორივე მხარე, ნათქვამია დოკუმენტში, აცხადებს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „გამოიყენოს ყველა საშუალება პალესტინის არაბი ხალხის უფლებების დაცვისათვის“ და ყველა არაბულ ქვეყანას მოუწოდებს განახორციელონ არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების ბაღდადის კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

ლაპპსი. ბოლივიის პრეზიდენტმა დ. პადილიამ გადაჭრით დაგმო ის, რომ რეაქცია წინააღმდეგობას უწევს დროებითი მთავრობის ღონისძიებებს დემოკრატიზაციის პროცესის განვითარების შესახებ. გარკვეული წრეები, თქვა მან, ეწევიან ძირგამომთხრელ საქმიანობას, რომელიც მიმართულია ამა წლის ივლისში დასახული საყოველთაო არჩევნების წინააღმდეგ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა დაიცავს კონსტიტუციურ წყობილ ე ბ ა ს ქვეყანაში, ხოლო შეთქმულთა წინააღმდეგ განახორციელებს გადამწყვეტ ღონისძიებებს. რეაქციის შეთქმულება დაგმეს ბოლივიის სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა. მათ მიერ გავრცელებულ განცხადებებში ნათქვამია, რომ მხარს უჭერენ დემოკრატიზაციის პროცესს. (საკდესი).

ირანი რესპუბლიკად გამოცხადდა

თეირანი, 2 აპრილი. (საკდესი). ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოაცხადდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომელზეც ირანელთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა სძულველი მონარქისტული რეჟიმის ლიკვიდაციას და რესპუბლიკური წყობილების დამყარებას. დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ ღონისძიებაში მონაწილეობდა 16 წლის ასაკს მიღწეულ ირანელთა 98 პროცენტი და მათგან 97 პროცენტმა მოიწონა მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმა. აიათოლა ხომეინიმ, რომელმაც ერს მიმართა, ყველა ირანელ მოქალაქეს მიულოცა შაჰის ტირანიაზე გამარჯვება და 1 აპრილი — რესპუბლიკის გამოცხადების დღე — რეფოლუციის დღედ გამოაცხადა. მან ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა მხარი დაუჭიროს დროებითი მთავრობის ღონისძიებებს და გამოიჩინოს სიფხიზლე, რათა ჩაშალონ რევოლუციის მტრების ხრიკები.

მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს მასობრივი მიტინგები და მანიფესტაციები, რომელთა მონაწილენი მიესალმებიან რესპუბლიკის გამოცხადებას.

მ. დესაის გამოსვლა

დელი, 2 აპრილი. (საკდესი). ინდოეთი ვერ შერიგებია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ მისი ტერიტორიის ოკუპაციას, განაცხადა ბომბეიში გამართულ მასობრივ მიტინგზე პრემიერ-მინისტრმა მ. დესაიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ მრავალი ათასი კვადრატული კილომეტრი მიწების დაბრუნების პრობლემა, რომლებიც ჩინეთმა ხელთ იგდო 1962 წელს, როცა მისი დივიზიები მოულოდნელად შემოიჭრნენ ინდოეთში, კვლავაც აქტუალურ პრობლემად რჩება, საერთაშორისო ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობის მიუხედავად.

შეეხო რა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხებს, მ. დესაიმ თქვა, რომ მთავრობა ესწრაფვის გაუთბოს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან — პაკისტანთან, ბანგლადეშთან, ნეპალთან. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას წინათ გამართულ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას და განაცხადა, ამ მოლაპარაკების შედეგად „ორი ქვეყნის მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდაო“.

პენსილვანიაში მომხდარი ინციდენტის გამო

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. (საკდესი). პენსილვანიის შტატის ქალაქ ჰარისბურგის ატომური ელექტროსადგურის მიდამოებში, სადაც ამ რამდენიმე დღის წინ ბირთვული რეაქტორის ავარია მოხდა, კვლავ სერიოზული მდგომარეობაა. დროდადრო გარემოში იეთნება რადიაქტიური ნივთიერებანი. სპეციალისტები ცდილობენ არ დაუშვან რეაქტორის ბირთვული სთობების გადახურება. წინაადგენ შემთხვევაში, თუ ურანის მასამ ძალზე მაღალ ტემპერატურას მიაღწია, შეიძლება გაალღოს ბეტონის დამცავი შრე და ათობით მეტრ სიღრმეზე ჩავიდეს ნიადაგში. ამას კი მოჰყვება ნიადაგ-წყლის წყლების რადიაქტიური მოწამვლა.

ახლომახლო ქალაქებისა და დაბების 50 ათასამდე მცხოვრები უკვე გაიხიზნა. პენსილვანიის შტატის ექვს ოლქში სამოქალაქო თავდაცვის რაზმები ფეხზეა დამდგარი იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა საჭირო გახდა 600 ათასი მცხოვრების გახიზვნა.

პრეზიდენტი ჯ. კარტერი პირადად ეწვია ჰარისბურგის ატომურ ელექტროსადგურს. იგი გაეცნო სიტუაციას და შემდეგ მოსახლეობას მოუწოდა შეინარჩუნოს სიმშვიდე.

ამერიკული პრესიდან

ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ ძვირდება სამომხმარებლო საქონელი. შრომის სამინისტროს მონაცემებით, მარტო შარშან ფასებმა 8,9 პროცენტით მოიმატა, საშუალო ამერიკელის მყიდველობითი უნარი კი 3,6 პროცენტით შემცირდა. (ბაზეთებიდან).

Magic Marker



ნახატზე წარწერილია: „მაგიური ნიბრი“, „ფასების თავბრუდამხვევი ზრდა“.

დაბრკოლება მშვიდობის გზაზე

პარიზი, 2 აპრილი. (საკდესი). ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულება დაბრკოლებაა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის გზაზე, აღნიშნა სირიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდელ ჰალიმ ჰადამმა ყოველკვირეული „ან-ნაჰარ ალ-არაბი ვად-დუვალისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც პარიზში გამოდის. ევროპის ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც მხარს დაუჭერს ამ ხელშეკრულებას, განაცხადა მან, აბუჩად აიგდებს მთელ არაბ ერს. ჰადამმა მოუწოდა ევროპის ყველა სახელმწიფოს „დაადგნენ პოზიციას, რომელიც შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს“. მან ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ყველა ეტაპზე არაბი ხალხების მხარეზე იყო.

მთავროგის ახალი კაბინეტი

ქაბული, 2 აპრილი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა ახალი კაბინეტის შემადგენლობა.

პრემიერ-მინისტრმა ჰ. ამინმა მინისტრთა ახალი კაბინეტის წევრები წარუდგინა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ნ. მ. თარაკის, და განაცხადა, რომ ახალი მთავრობის ძირითადი მიზანი იქნება ავღანეთში აპრილის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გამოცხადებული ამოცანების განხორციელება. საგარეო პოლიტიკის დარგში მთავრობა, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მოქმედებს, გადაჭრით იღაშქრებს ავღანეთის საქმეებში უცხოეთის ჩარევის წინააღმდეგ და შეასრულებს სამშობლოს ხელშეუვალობის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის უზრუნველყოფის ამოცანებს.

წყალს ამღვრევენ...

დელი, 2 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის საზოგადოებრიობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მეამბოხე სეპარატისტთა გამოწვევთნა და შეაიარაღა ჩინეთმა. ბანდიტთა ამასწინანდელი თავდასხმა სამხედრო პატრულზე, რომლის შედეგადაც არის მსხვერპლი, ქალაქ მონის ელექტროსადგურისათვის რაკეტების დაშენა ერთიანი ჯაჭვის რგოლია, წერს გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“.

სეპარატისტთა აქციების მიზანია დააშინონ ნაგალენდისა და მიზორამის შტატების მოსახლეობა, ხაზს უსვამს გაზეთი.

ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ კვლავ არის ახალი პროვოკაციების საფრთხე. პეკინი არაფერს არ თაკილობს, რომ შეარყიოს მდგომარეობა ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში. იქ გასაგზავნად მზად არის კიდევ ჩინელთა მიერ შეიარაღებულ ბანდიტთა ჯგუფი, რომელშიც დაახლოებით ათასი კაცი შედის, იუწყებიან ინდოეთის გაზეთები.

გაზეთმა „ტრიბუნა ლუდუმ“ თავის მკითხველებს აუწყა, რომ ქ. ვარშავაში საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში ეწყობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი მიძღვნილი სადამო, ხოლო ცოტა მოგვიანებით მეორე გაზეთმა „ეიჩე ვარშავამ“ დაბეჭდა ამ საღამოს პროგრამა.

ეს მეორე საღამო გაახლდათ ციკლიდან „სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების დღეები საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში“. ეს არის ნაწილი იმ დიდი და მრავალმხრივი საქმიანობისა, რომელსაც ჩვენი სახლი ეწევა მეგობარი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გახსნილი აქვს თავისი კულტურული ცენტრები, მეცნიერებისა და კულტურის სახლები. ჩვენი სახლი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ერთ-ერთი პირველთაგანია. იგი დაარსდა ამ ოციოდე წლის წინათ პოლონეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების თაოსნობით.

სამსართულიანი შენობის ნათელი კედლების ფონზე მკვეთრი წითელი ფერით პოლონურ ენაზე მისი სრული წარწერაა გამოკვეთილი. ამ შენობას იცნობენ არა მარტო პოლონეთის დედაქალაქის, არამედ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებიც. იგი ერთობ ახლობელი და ძვირფასია ყოველი პოლონელისათვის.

მეცნიერებისა და კულტურის სახლში არ ხდება მომსვლელთა აღრიცხვა, ვინაიდან ეს უბრალოდ შეუძლებელია. მარტო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნების ფონდი 70 ათასს აღემატება, დღეში 130-მდე მკითხველს ემსახურება, კიდე „მეგობრობა“ — კიდევ უფრო მეტს, ხოლო საბჭოთა კინოს მოყვარულთათვის განკუთვნილ კინოსეანსებზე ხომ ხალხის ტევა არ არის. თემატურ ექსპოზიციათა მნახველების რაოდენობის განსაზღვრა თვით საუკეთესო გამომთვლელ მანქანასაც კი გაუჭირდებოდა.

ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება გამიზნული და ეფექტიანი იყოს თითოეული ღონისძიება. სახლში დღენიადაგ თავს იყრიან სხვადასხვა სპეციალობისა და პროფესიის, სხვადასხვა ასაკისა და ინტერესების ადამიანები — მუშები და მეცნიერები, გლეხები და მხატვრები, სკოლამდელი ასაკის ბავშვები და პენსიონერები, სტუდენტები და პოლონეთის არმიის ყოფილი მეომრები. აქ სისტემატურად იმართება ლექციები და საუბრები, შემოქმედებითი შეხვედრები, სახეიმო სხდომები, დისკუსიები, რომლებიც ცხოვენ ინტერესს იწვევს და რომლებშიც მონაწილეობენ როგორც პოლონელი, ისე საბჭოთა მოქალაქეები.

ამ სახლში მუდამ სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს. არც მომდინარე წლის დამდეგი იყო ამ მხრივ გამონაკლისი.

საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლის საქმიანობაში დიდი ადგილი უკავია ეგრეთ წოდებულ „რეგიონალურ დღეებს“, რომელიც უკვე თხუთმეტი წელია სისტემატურად ეწყობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სავოევოდოებში (ამჟამად პოლონეთში სულ 49 სავოევოდოა). პროგრამა საშუალებას იძლევა ფართოდ გააცნოს ადგილობრივ მოსახლეობას საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების მიღწევები. „დღეების“ გახსნაში მონაწილეობენ სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები, გენერალური კონსულები და საკონსულოების თანამშრომლები. ქალაქების ცენტრები მორთულია დროშებითა და ტრანსპარანტებით, ყველგან საზეიმო განწყობილება სუფევს. ამ ღონისძიებებში პოლონეთის კოლექტივებთან ერთად მონაწილეობენ საბჭოთა მხატვრული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. მოსახლეობას ლექციებს უკითხავენ და ესაუბრებიან როგორც სახლის თანამშრომლები, ისე ჩვენი ქვეყნიდან მოვლინებული მეცნიერები და სხვადასხვა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. ასეთ შეხვედრებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ადგილებზე ეწყობა თემატური გამოფენები, კინოთეატრების ეკრანებზე უჩვენებენ საბჭოთა ფილმებს, მათ შორის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოსურათებს.

ყურადსაღებია მეგობრობის „კვირა დღე“ — ძალზე ეფექტიანი ღონისძიება, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ წამოიწყო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვარშავის საქალაქო განყოფილებამ.

მეცნიერებისა და კულტურის სახლს კარგი ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირის მეგობრობის რესპუბლიკურ საზოგადოებასთან და, კერძოდ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებასთან, რომლის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას იჩენს.

სახლი დიდ მუშაობას ეწევა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პროპაგანდის საქმეში — საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ცალკეული რესპუბლიკების მიღწევათა ჩვენებით, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობის გაღრმავებასა და გამტკიცებას. ამის ნათელი და მკაფიო მაგალითი იყო საქართველოსადმი მიძღვნილი საღამო.

ჩვენი „კომფლისტის“ მკითხველისათვის ახალი არ იქნება იმის თქმა, თუ რა დიდი ისტორიული ფესვები აქვს საქართველოსა და პოლონეთის ურთიერთობასა და მეგობრობას. ამის შესახებ საყურადღებო და საინტერესო ლიტერატურა გვაქვს როგორც პოლონურ, ისე ქართულ ენებზე, და არა მარტო ამ ენებზე.

დიდ სიმპათიას, სიყვარულს ჩვენი რესპუბლიკისადმი, ქართველი ხალხისადმი აქ, პოლონეთში, ყოველდღიურად და ყოველ ნაბიჯზე გრძნობ და ხედავ.

პოლონელი ხალხი დიდი გულისხმიერებით ადევნებს თვალს იმ ძირეულ ძვრებს, რომლებიც ბოლო დროს მოხდა რესპუბლიკის ცხოვრებაში, ადგილობრივ პრესაში ქვეყნდება სხვადასხვაგვარი ინფორმაციები და წერილები, იბეჭდება წიგნები საქართველოს შესახებ. მაგალითად, ამას წინათ პოლონურმა ჟურნალმა „პოლიტიკამ“ დიდი ადგილი დაუთმო თავის ფურცლებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. შევარდნაძის შეხვედრას ამომრჩევლებთან.

უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში პოლონეთის ჟურნალგაზეთებმა ბევრი საინტერესო მასალა გამოაქვეყნეს საქართველოს ხელოვნების და კულტურის მოღვაწეებზე, ცნობილ ადამიანებზე. გასული წლის ოქტომბერში პოლონურ ჟურნალ „კობიეტა ი ჟიც�sp“ („ქალი და ცხოვრება“) ფურცლებზე დაიბეჭდა ვრცელი წერილი ქართველი კერამიკოსი ქალის ნანა ბოტკოველის (მისი პერსონალური გამოფენა, როგორც ცნობილია, ჩვენს სახლში მოეწყო) შემოქმედებაზე, მასვე მიეძღვნა სტატია ვარშავის გაზეთ „ექსპრეს ვეჩორნიში“, ან კიდევ სტატია ქართველი მომღერალი ქალის ლამარა ჭყონიას შესახებ გაზეთ „ჟიცე ვარშავიში“, მეტად თბილი და ამაღელვებელი სტრიქონები მიუძღვნა ჟურნალმა „პშიაზნმა“ („მეგობრობა“) გასული წლის ნოემბრის ნომერში ჭადრაკში მსოფლიოს ახალ დოდოფალს მაია ჩიბურდანიძეს.

საღამოზე, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 58-ე წლისთავს მიეძღვნა, ვრცლად ილაპარაკა ვარშავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა იან ბრაუნმა. საქართველოს ფართო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს იან ბრაუნს. მის შესახებ ბევრი თქმულა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზეც. ეს ის მეცნიერია, რომელსაც დიდი ღვაწლი მოუძღვის ქართველოლოგიაში. ბატონ იანს შარშან დეკემბერში შეეხედი. იგი გამაცნო ვარშავაში მცხოვრებმა ქართველმა ინჟინერმა კორნელი (კოკა) ბზიავამ. იან ბრაუნის გვარი გაგებული მქონდა, ისიც ვიცოდი, რომ იგი სასიქადულო ქართველი მეცნიერის აკაკი შანიძის ასპირანტი იყო 50-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ბზიავასთან ერთად ჩემს კაბინეტში შემოვიდა საშუალო ტანის, ოდნავ ფერმკრთალი, ორმოცდაათს გადაცილებული კაცი, ქართულად მომესალმა, ისე მომიკითხა, როგორც ჩვენ, ქართველებს, გვჩვეევია. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შევხვედროდი. ბატონმა იანმა გაიხსენა საქართველოში გატარებული წლები, დიდი სიყვარულით მოიგონა თავისი ხელმძღვანელი ბატონი აკაკი, მიჩვენა პოლონურ ენაზე პოეტ ეჟი ხაგურსკისთან ერთად შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი თარგმანი (მეორე გამოცემა). ვისაუბრეთ ქართველებსა და ბასკებს შორის ნათესაობის პრობლემებსა და იმ საინტერესო მუშაობაზე, რომელიც ამჟამად წარმოებს საქართველოში ამ მიმართულებით. მან გამოთქვა ამ ნათესაობის დამადასტურებელი მეტად საყურადღებო მოსაზრებები. მიესალმა ჟურნალისტისა და მწერლის ალექსანდრე კიკნაძის ინიციატივასა და ენთუზიაზმს ამ მხრივ. მას მიაჩნია, რომ პრობლემა მეტად პერსპექტიულია და ღრმა მეცნიერულ კვლევას საჭიროებს.

ჩემთვის ცნობილი იყო ისიც, რომ პროფესორი ბრაუნი ქართველოლოგიაში მის მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის და ვარშავისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის კავშირურთიერთობის განვითარების საქმეში დამსახურებისა და დაბადების 50 წელთან დაკავშირებით 1976 წელს დაჯილდოვდა „ივანე ჯავახიშვილის მედლით“, და რაოდენ სასიამოვნო იყო, როცა ბატონმა იანმა მიჩვენა ეს საპატიო ჯილდო, რომელიც თან ჰქონდა წამოღებული... იმ საღამოს ბევრი საინტერესო და საყურადღებო უამბო დამსწრე საზოგადოებას პროფესორმა ბრაუნმა. მან მეტად სასიხარულო რამ გვაუწყა: ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მესამე კურსის თხუთმეტიოდე სტუდენტი 1978-1979 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან შეუდგა ქართული ენის შესწავლას. მათ ლექციებს უკითხავს და სემინარულ მეცადინეობას უტარებს თვით პროფესორი ბრაუნი.

შეხვედრაში მონაწილეობდა პოლონეთში მეტად პოპულარული ჟურნალისტი რიშარდ ბადოვსკი. რიშარდი პოლონეთის ტელევიზიის რედაქტორი გახლავთ, იგი ინიციატორი და ავტორია მეტად მიმზიდველი და სანტერესო სატელევიზიო ციკლებისა — „ექვსი კონტინენტის კლუბი“ და „სათავგადასავლო და სამოგზაურო საღამო“.

რიშარდი ჩვენი რესპუბლიკის დიდი მეგობარია. ბევრი რამ აქვს გამოქვეყნებული საქართველოს შესახებ. მისი უკანასკნელი წიგნის „თერგზე მცხოვრებნი“ (ახლახან გამოიცა ვარშავაში პოლონურ ენაზე) უმეტესი ნაწილი ჩვენს ქვეყანას ეძღვნება. შარშან დეკემბერში ბადოვსკიმ საუკეთესო სატელევიზიო გადაცემა მიუძღვნა სამ ქვეყანას — პორტუგალიას, ესპანეთსა და საქართველოს. ამ გადაცემაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე პროფესორმა ბრაუნმა...

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი. ჩვენს სახლში ფართოდ აღინიშნა პოლონელი მწერლის იაროსლავ ივაშკევიჩის იუბილე. საიუბილეო საღამოში მონაწილეობდა ცნობილი საბჭოთა პოლონისტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ელენე ციბენკო. იგი სპეციალურად ჩამოვიდა მოსკოვიდან, ხოლო როცა შეიტყო, რომ საქართველოსადმი მიძღვნილი საღამოს მოწყობას ვაპირებდით, მასში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა. მან დამსწრეთ გააცნო ის დიდი მუშაობა, რომელიც პოლონურ ლიტერატურასთან ურთიერთობის დარგში წარმოებს საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში, დამსწრეთ ესაუბრა ქართველ პოლონისტ მეცნიერ ქალზე ვერა ხითარიშვილი-იოსელიანზე, რომელმაც ბრწყინვალედ დაიცვა საქართველოსა და პოლონეთის ლიტერატურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი საკანდიდატო დისერტაცია. პროფესორი ე. ციბენკო ფართოდ შეეხო ცნობილი ქართველი მწერლისა და კომედიოგრაფის გიორგი ერისთავის მოღვაწეობას ვარშავაში, სადაც იგი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო გადასახლეს.

დიდი მოწონება ხვდა წილად ქართველი ბავშვების ნახატების გამოფენას, რომელიც საგანგებოდ ამ თარიღს მიეუძღვნით. თბილისელ ბავშვთა ნახატების გალერეის დირექტორმა ავთანდილ კუბანინაძემ დიდი სიყვარულით შეარჩია და მოგვაწოდა ეს სურათები. ახლა პოლონელი ბავშვებისათვის მზადდება სპეციალური სატელევიზიო გადაცემა ამ გამოფენასთან დაკავშირებით, გამოფ

ქართული ჩაის კვირეული

დასკვნითი აკორდი

„არაგვსა“ და „ჩაის სახლში“

1 აპრილი ჩაის კვირეულის დასკვნითი დღე იყო. ზეიმი ბევრგან მოეწყო, მაგრამ აქ შევჩერდებით ორ მთავარ ობიექტზე — რესტორან „არაგვზე“ და „ჩაის სახლზე“.

ჩინებული ორგანიზაცია, უშუალობა, საქმიანი შენიშვნები, ჯანსაღი იუმორი, მუსიკალური ნომრები, კონკურსები — აი რა ახასიათებდა კვირეულის ბოლო დღეს.

— რა ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში ჩაის? — ამბობს სახელოვანი მეცნიერი აკადემიკოსი აკაკი შანიძე, — ფრიად მნიშვნელოვანი. ჩაისთან მეგობრობას ბავშვობიდან შევეჩვიე, და დღესაც განვაგრძობ. სადაც არის საუკუნეს მივუკაკუნებ, ამ ასაკში ჩვენებური ჩაი მხნეობას მმატებს.

—სამწუხაროდ,—ამბობს პროფესორი მ. გოგოლიშვილი — ფაქტიურად თამბაქოს, ნიკოტინს მეტ პროპაგანდას უწევენ, ვიდრე ჩაის.

ქართული ჩაის პერსპექტივებზე, მის სასიკეთო თვისებებზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ რ. ჩხაიძემ, საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსმა ე. მალაზონიამ, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ გ. ხელაძემ, „ჩაის სახლის“ დირექტორმა ნ. ნებიერიძემ, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორმა მ. დავითაშვილმა.

თავიანთი სურვილები და შენიშვნები გამოთქვეს სოციალისტური შრომის გმირებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. კურტანიძემ და გ. ჭეგაშვილმა, მეჩაიე მექანიზატორმა ც. თალაკვაძემ და სხვებმა.

მაშ ასე, ქართული ჩაის კვირეული დამთავრდა, გზა დაეულოცოთ მას ირკუტსკისა და ბამისაკენ.

ვ. გაგელია.

დრო, ადგილები, მოვლენები

სილნაღი

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

კულტურის უნივერსიტეტი

უკვე მეათე წელია რაიონში მუშაობს კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, მასში 200-მდე კულტურისა და ხელოვნების მოყვარულია გაერთიანებული. მორიგ მეცადინეობაზე უნივერსიტეტის მსმენელებმა გაიხილეს ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები „ყამირი“, „მცირე მიწა“ და „აღორძინება“.

მშრომელთა მკურნალობისათვის

ქალაქ სილნაღის მახლობლად, ტყის პირას, აშენდა ახალი 250-საწოლიანი საავადმყოფო,

ახალ საავადმყოფოს აქვს თერაპიის, ქირურგიის, ტრავმატოლოგიის, გინეკოლოგიის, პედიატრიის და სხვა განყოფილებები.

ტურისტთა „ქალაქი“

ნუკრიანსა და სილნაღის შორის ტურისტთა ქალაქის მრავალსართულიანი კორპუსები აღიმართა. საძინებელი კორპუსი 300 კაცისთვის არის გათვალისწინებული. აქვეა სპორტული ბაზა, რესტორანი, კინოდარბაზი და დასვენების პარკი.

მისი სახელოგნისა

ფორე მოსულიშვილი იმ ქართველ გმირებს მიეკუთვნება, რომელთაც მშობელი ხალხის გულში სამუდამო ძეგლი დაიდგეს. მადლიერმა თანასოფლელებმა სოფლის ცენტრალურ ქუჩას მისი სახელი უწოდეს, ხოლო სახლს, რომელშიც იგი დაიბადა და სიცოცხლის წლები გაატარა, მემორიალური წარწერა გაუკეთდა.

ახალი წყალსადენი

მალე დამთავრდება სილნაღის სარაიონთაშორისო კოოპერირებული წყალსადენის მშენებლობა. იგი საქართველოში დღემდე არსებული სასოფლო წყალსადენებიდან ყველაზე უფრო დიდია. მისი სადღეღამისო დებიტი 150 ათას კუბურ მეტრს გადაამეტებს. წყალსადენი 100-ზე მეტ სოფელსა და დასახლებულ პუნქტს მიაწვდის სასმელ წყალს.

ვლ. მეჭედლიშვილი.

საამი გუნდის ერთი პრობლემა

სპარტაკიადიდან ოლიმპიადამდე

მოცურავეებსაც, წყალმხტომელებსაც და წყალბურთელებსაც, ბუნებრივია, თავთავიანთი გულისტკივილი და გადასაჭრელი ამოცანები აქვთ, მაგრამ სამივე სახეობის წარმომადგენლებს ერთი საერთო პრობლემა — საცურაო აუზების სიმცირე აწუხებთ. და მართლაც, თითებზე შეიძლება ჩამოთვალოს კაცმა ქალაქები, სადაც საცურაო აუზებია, უფრო ზუსტად, სადაც ასე თუ ისე მუშაობა მიმდინარეობს: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ჭიათურა და რუსთავი. ამ მხრივ უველაზე უკეთ თბილისელებს აქვთ საქმე, სადაც ოთხი აუზი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. სწორედ თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში ვარჯიშობენ საქართველოს მოცურავეთა, წყალმხტომელთა და წყალბურთელთა ნაკრები გუნდების წევრები. ეს აუზი ერთდერთია, ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით მაინც, სადაც სპორტის ამ სახეობათა წარმომადგენლებს ასე თუ ისე ვარჯიშის ნორმალური პირობები აქვთ. „ასე თუ ისეო“, რომ ვამბობთ, უწინარეს ყოვლისა ამაში წყლის ტემპერატურის რეგულირებას ვგულისხმობთ. საქმე ის არის, რომ წყლის ის სითბო, რაც ნორმალურად ითვლება მოცურავეებისა და წყალბურთელებისთვის, არანორმალურია წყალმხტომელებისათვის. ეს პრობლემა გადაუჭრელი იქნება მანამდე, ვიდრე სამივე სახეობის წარმომადგენლები ერთ აუზში ვარჯიშობენ. იმისთვის, რომ სპორტის ამ სახეობათა ნაკრები გუნდების სამზადისზე გარკვეული სურათი შეგვექმნას, უმჯობესია თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე ვისაუბროთ.

ცურვა

მოცურავეთა ნაკრები ძირითადად სასკოლო ასაკის ბავშვებით არის დაკომპლექტებული. ნაკრებისათვის უკანასკნელი, უველაზე დიდი გამოცდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა იყო. ტაშკენტში, კი, მოგეხსენებათ, ჩვენმა მოცურავეებმა ერთობ უხეიროდ იასპარეზეს და XI ადგილი დაიკავეს. ამის შემდეგ საქართველოს სპორტკომიტეტმა მდგომარეობის გამოსასწორებლად მთელი რიგი ღონისძიებები დასახა — შეიცვალა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, გადახალისდა ჯუნდის შემადგენლობა და საბოლოოდ კოლექტივში 30-მდე სპორტსმენი დარჩა. ვარჯიშის ხარისხი გაუმჯობესდა, გაიზარდა ინტენსიურობა. მუშაობის გარდაქმნამ ნაყოფიც გამოიღო. სეზონის სტარტზევე გამართულ შეჯიბრებებში გაუმჯობესდა რესპუბლიკური რეკორდები, საქართველოს პირველობაზე კი 19-ჯერ შესრულდა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ამ პირველ შედეგებს განმტკიცება და განვითარება სჭირდება.

ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ თავისუფალი სტილით მოცურავეებს აქვთ საქმე. 200 მეტრზე ვაჟთა შორის თავისუფალი სტილით ცურვაში თბილისის დინამოელი ი. კუშვილიოვი ერთადერთი იყო რესპუბლიკაში, რომელიც ამ დისტანციას 2 წუთზე სწრაფად გადიოდა. ახლა კი ამ ზღვარს კიდევ ორნი — ქუთაისელი ა. გიორგაძე („განთიადი“) და ბათუმელი ნ. მოროზოვი („ვოდნიკი“) სძლევენ. ყოველივე ეს იმედს გვაძლევს, რომ საკავშირო სპარტაკიადაზე ჩათვლას მოგვცემენ 4X200 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით მოცურავე ვაჟები. მათ შეუძლიათ ჩათვლა მოგვცენ თავისუფალი სტილით ცურვის ცალკეულ დისტანციებზე. კუშვილიოვა კი სპარიზო ადგილისთვის უნდა იბრძოლოს.

ბათუმის განთიადელი ი. ომელჩენკო, რომელიც 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვის სტარტზე, აგრეთვე. კომბინირებულ ესტაფეტაში ვამოვა, ბოლო დროს გულგრილად ეკიდებოდა ვარჯიშებს. ახლა იგი კვლავ მუყაითად ვარჯიშობს და, თუ ჩვეული სპორტული ფორმა დაიბრუნა, ალბათ, სპარიზო ადგილსაც დაიკავებს.

შეუძლებელია მოცურავეებზე ისე დავსარულოთ საუბარი, რომ არაფერი ვთქვათ „შრომით რეზერვებზე“. ამ სპორტსაზოგადოებას თბილისში ყოველგვარი პირობები აქვს ცურვის განვითარებისათვის. ერთ დროს აქაური მოცურავეებიც მრავლად იყვნენ ნაკრებში, ახლა კი ერთ კაცსაც ვეღარ ნახავთ. იგივე უნდა ითქვას ჭიათურელ მოცურავეებზე.

წყალბურთი

ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელთა გუნდი წინათ ერთერთი წამყვანი კოლექტივი იყო სსრ კავშირში. იგი ზშირად იკავებდა საპრიზო ადგილებს, როგორც ქვეყნის ჩემპიონატებზე, ისე საკავშირო სპარტაკიადებზე. მერე კი მდგომარეობა შეიცვალა და თანდათან წამყვანი პოზიციები დავთმეთ. ბოლოს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაზე IX ადგილი დავიკავეთ.

და აი, სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატი. წლევანდელმა ორმა ტურმა წარმატება მოუტანა თბილისის „დინამოს“. იგი ჯერჯერობით V ადგილზეა. მიუხედავად ზოგიერთი სამწუხარო მარცხისა, ჩვენი გუნდი ახლა კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

განვლილმა ტურნირებმა გვიჩვენა, რომ წლეულს თბილისის „დინამო“ უკეთ არის მომზადებული, ვიდრე შარშან. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა ამჟამად ყველაზე ახალგაზრდაა უმაღლესი ლიგის კოლექტივებს შორის. წყალბურთელთა საშუალო ასაკი 21 წელია. ეს კი უკეთესი მომავლის იმედს გვისახავს.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირის ნაკრებშია მიწვეული თბილისელთა მეკარე ნ. გიორგაძე. ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებში არიან მიწვეულნი გ. ტუკვაძე, თ. კუტივაძე და დ. გვახარია. მათგან გიორგაძემ და ტუკვაძემ შარშან ევროპის იუნიორთა ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვეს.

როცა თბილისის „დინამოზე“ ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს, რომ მსჯელობა ფაქტიურად რესპუბლიკის ნაკრების ავ-კარგს ეხება. აი, რას ამბობს საქართველოს ნაკრებისა და „დინამოს“ წყალბურთელთა უფროსი მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. სანაძე: „არის იმის იმედიც, რომ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ქართველი წყალბურთელები საპრიზო ადგილს ებრძოლებენ. ჩვენს დინამოელთაგან ზოგიერთის იმის ძალაც შესწევს, რომ მოსკოვის ოლიმპიურ ასპარეზობაშიც მიიღოს მონაწილეობა“...

აქვე გვინდა გავიხსენოთ, რომ „დინამო“ ამჟამად ყველაზე ახალგაზრდაა უმაღლესი ლიგის კოლექტივებს შორის. წყალბურთელთა საშუალო ასაკი 21 წელია. ეს კი უკეთესი მომავლის იმედს გვისახავს.

ყალყტომა

ის, ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი წყალმხტომელების გამოსვლებს, გაიხსენებს, რომ საქართველოს სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე ვერც ერთი ქუდი ვერ მოიგოს და IX ადგილი დაიკავეს. წინა, VI სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ 6 ქულის მოპოვება შეძლეს, მაგრამ მაინც IX ადგილზე დარჩნენ. ასეთი წინსვლა მოძრავი ესკალატორის საწინააღმდეგო მხარეს გადადგმულ ნაბიჯს უფრო ჰგავდა. შემდეგ კი წარმატებები თვალსაჩინო გახდა. ყველაზე დიდი წარმატებები ლიანა ცოტაძემ და სერგი შალიბაშვილმა მოიპოვეს. ცოტაძემ, მაგალითად, შარშან მინსკის საერთაშორისო ტურნირზე კოშკიდან ხტომაში III ადგილი დაიკავა. მას მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონმა პენზელმა ი. კალინინამ და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. ვაიცეხოვსკაიამ აჯობეს. ამის შემდეგ ცოტაძე ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. მერე კი თბილისში გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაშიც გაიმარჯვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. საკავშირო სპარტაკიადაზე, ჩვენი აზრით, მან საპრიზო ადგილი უნდა დაიკავოს.

რაც შეეხება შალიბაშვილს, ისიც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია და მანაც მოიგო თბილისში გამართული სსრ კავშირის თასის გათამაშება. ამას გარდა, იგი მეორე იყო იტალიაში გამართულ ჭაბუკ წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატზე.

იმედის თვალით შევყურებთ ი. ელბაქიძესაც. ამ ჭაბუკმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე II ადგილი დაიკავა კოშკიდან ხტომაში, ხოლო თასის გათამაშებაში მეოთხე იყო როგორც კოშკიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომაში.

ცხადია, სამივე სახეობაში ერთი საერთო პრობლემა — საცურაო აუზების ნაკლებობა გვაწუხებს. თუ გვინდა, რომ მომავალში ჩვენმა მოცურავეებმა, წყალბურთელებმა და წყალმხტომელებმა თავალსაჩინო წარმატებებს მიაღწიონ, ყველა პირობა უნდა შეიუქმნათ ნორმალური ვარჯიშისათვის. საჭიროა აუზები, და რაც შეიძლება მეტი. სხვანაირად სპორტის ამ სახეობებში მოზარდებს მახობრივად ვერ მოვიზიდავთ.

ა. გურასაშვილი.

ოლიმპიადა ქალაქ მექსიკოზე

საქართველოს სსრ

პარტიული ჩანაწერები

მოცურავეთა შედეგები

I სპარტაკიადა (1956 წელი). ბორის ნიკიტინი (400 მ თავისუფალი სტილით, 4.38,5) I ადგილი.

II სპარტაკიადა (1959 წელი). ალბერტ ანტონიანი (200 მ ბრასით, 1.17,8), ნიკიტინი (400 მ თავისუფალი სტილით, 4.44,2) — I ადგილები; რადა არკადიევა (400 მ თავისუფალი სტილით 5.30,8) — II ადგილი; არკადიევა (100 მ თავისუფალი სტილით — 1.08,6) — III ადგილი.

III სპარტაკიადა (1963 წელი). იური ფუნიკოვი (200 მ ბრასით, 2.36,5), ნიკიტინი (400 მ კომპლექსური ცურვა, 5.07,1), ბორის კამენსკი, ნიკიტინი, ალექსანდრე ტუტაკაევი, იგორ გიორგობიანი (40X100 მ კომბინირებული ესტაფეტა, 4.20,2), ესმა ღიბრაძე (100 მ დელფინით, 1.14,6)— III ადგილები.

V სპარტაკიადა (1971 წელი). თინათინ ლეკვეიშვილი (100 მ გულაღმა, 1.08,0 და 200 მ გულაღმა, 2.28,7) — I ადგილები; ვიქტორ კრასკო (100 მ გულაღმა, 1.01,8 და 200 მ გულაღმა, 2,15,3) — III ადგილები.

VI სპარტაკიადა (1975 წელი). იგორ ომელჩენკო (200 მ გულაღმა, 2.10,49). საკავშირო რეკორდი) — I ადგილი; ომელჩენკო (100 მ გულაღმა, 1.01,07) — II ადგილი.

საქართველოს მოცურავეთა გუნდური ადგილები: 1956 წელს — VI, 1959 წელს — V, 1963 წელს — V, 1967 წელს — IX, 1971 წელს — IV, 1975 წელს — VIII.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). ნიკიტინი (4X200 მ თავისუფალი სტილით ესტაფეტა და 400 მ თავისუფალი სტილით, 4.42,8) — შესაბამისად III და V ადგილები.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). ტუტაკაევი (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი). ლეკვეიშვილი (4X100მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). ლეკვეიშვილი (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი). ომელჩენკო (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — V ადგილი.

წყალმხტომელთა შედეგები

III სპარტაკიადა (1963 წელი). ბორის პოლულიახი (ტრამპლინი, 163,58 ქულა) II ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). პოლულიახი (ტრამპლინი, 261,05 ქულა) — I ადგილი.

საქართველოს წყალმხტომელთა გუნდური ადგილები: 1956 წელს — V, 1959 წელს — V, 1963 წელს — VIII, 1967 წელს — IV, 1971 წელს — IX, 1975 — IX.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). პოლულიახი (ტრამპლინი, 138,64 ქულა) — VI ადგილი.

წყალბურთელთა შედეგები

1956 წელს — II ადგილი (ნ. გვახარია, ვ. ბარათაევი, კ. ოვანესიანი, ი. ჩხიკვაძე, ბ. მეგედი, კ. პოტაპოვი, ვ. ელიაშვილი, ვ. კლიმენკო, ვ. ჩერნიშოვი, ზ. ჩაჩავა, გ. დარახველიძე), **1959 წელს** — III (ლ. გოგოლაძე ნ. გვახარია, ი. ჩხიკვაძე, კ. ოვანესიანი, ვ. ბარათაევი, ვ. კლიმენკო, ბ. მეგედი, კ. პოტაპოვი, ზ. ჩაჩავა, გ. ჩიქვანაია, ო. მიმინოშვილი), **1963 წელს** — II (ლ. გოგოლაძე, ლ. გიორგაძე, ზ. ლომიძე, ბ. მარგიევი, ბ. მეგედი, ო. მიმინოშვილი, ვ. რომანოვი, ვ. სანაძე, გ. ჩიქვანაია, ი. ჩხიკვაძე, კ. წოწალაური), **1967 წელს** — III (ლ. გოგოლაძე, გ. ჩიქვანაია, ვ. ისელიძე, ბ. მეგედი, კ. წოწალური, ო. მიმინოშვილი, მ. გულედანი, ი. სხირტლაძე, კ. თორთლაძე, ვ. გიორგაძე, ვ. სანაძე), **1971 წელს** — VI, 1975 წელს — V ადგილი.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). ნოდარ გვახარია (სსრ კავშირის ნაკრების წევრი) — III ადგილი.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). გივი ჩიქვანაია და ლური გოგოლაძე (სსრ კავშირის ნაკრების წევრები) — II ადგილი.

ერთ ოჯახად

1908 წელს შექმნილი ცურვის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაცია (ფინა) თავის რიგებში აერთიანებს სამი სახეობის წარმომადგენლებს — მოცურავეებს, წყალმხტომელებსა და წყალბურთელებს.

ყალყტომა

ნაკრების შედეგები

I სპარტაკიადა (1956 წელი). ბორის ნიკიტინი (400 მ ბრასი, 5.17,8), ნიკიტინი (400 მ ბრასი, 5.17,8), ნიკიტინი (400 მ ბრასი, 5.17,8) — I ადგილები; ალბერტ ანტონიანი (200 მ ბრასი, 1.17,8), ნიკიტინი (400 მ თავისუფალი სტილი, 4.44,2) — I ადგილები; რადა არკადიევა (400 მ თავისუფალი სტილი, 5.30,8) — II ადგილი; არკადიევა (100 მ თავისუფალი სტილი — 1.08,6) — III ადგილი.

III სპარტაკიადა (1963 წელი). იური ფუნიკოვი (200 მ ბრასი, 2.36,5), ნიკიტინი (400 მ კომპლექსური ცურვა, 5.07,1), ბორის კამენსკი, ნიკიტინი, ალექსანდრე ტუტაკაევი, იგორ გიორგობიანი (40X100 მ კომბინირებული ესტაფეტა, 4.20,2), ესმა ღიბრაძე (100 მ დელფინი, 1.14,6)— III ადგილები.

V სპარტაკიადა (1971 წელი). თინათინ ლეკვეიშვილი (100 მ გულაღმა, 1.08,0 და 200 მ გულაღმა, 2.28,7) — I ადგილები; ვიქტორ კრასკო (100 მ გულაღმა, 1.01,8 და 200 მ გულაღმა, 2,15,3) — III ადგილები.

VI სპარტაკიადა (1975 წელი). იგორ ომელჩენკო (200 მ გულაღმა, 2.10,49). საკავშირო რეკორდი) — I ადგილი; ომელჩენკო (100 მ გულაღმა, 1.01,07) — II ადგილი.

საქართველოს მოცურავეთა გუნდური ადგილები: 1956 წელს — VI, 1959 წელს — V, 1963 წელს — V, 1967 წელს — IX, 1971 წელს — IV, 1975 წელს — VIII.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). ნიკიტინი (4X200 მ თავისუფალი სტილით ესტაფეტა და 400 მ თავისუფალი სტილით, 4.42,8) — შესაბამისად III და V ადგილები.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). ტუტაკაევი (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი). ლეკვეიშვილი (4X100მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). ლეკვეიშვილი (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი). ომელჩენკო (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — V ადგილი.

წყალმხტომელთა შედეგები

III სპარტაკიადა (1963 წელი). ბორის პოლულიახი (ტრამპლინი, 163,58 ქულა) II ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). პოლულიახი (ტრამპლინი, 261,05 ქულა) — I ადგილი.

საქართველოს წყალმხტომელთა გუნდური ადგილები: 1956 წელს — V, 1959 წელს — V, 1963 წელს — VIII, 1967 წელს — IV, 1971 წელს — IX, 1975 — IX.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). პოლულიახი (ტრამპლინი, 138,64 ქულა) — VI ადგილი.

წყალბურთელთა შედეგები

1956 წელს — II ადგილი (ნ. გვახარია, ვ. ბარათაევი, კ. ოვანესიანი, ი. ჩხიკვაძე, ბ. მეგედი, კ. პოტაპოვი, ვ. ელიაშვილი, ვ. კლიმენკო, ვ. ჩერნიშოვი, ზ. ჩაჩავა, გ. დარახველიძე), **1959 წელს** — III (ლ. გოგოლაძე ნ. გვახარია, ი. ჩხიკვაძე, კ. ოვანესიანი, ვ. ბარათაევი, ვ. კლიმენკო, ბ. მეგედი, კ. პოტაპოვი, ზ. ჩაჩავა, გ. ჩიქვანაია, ო. მიმინოშვილი), **1963 წელს** — II (ლ. გოგოლაძე, ლ. გიორგაძე, ზ. ლომიძე, ბ. მარგიევი, ბ. მეგედი, ო. მიმინოშვილი, ვ. რომანოვი, ვ. სანაძე, გ. ჩიქვანაია, ი. ჩხიკვაძე, კ. წოწალური), **1967 წელს** — III (ლ. გოგოლაძე, გ. ჩიქვანაია, ვ. ისელიძე, ბ. მეგედი, კ. წოწალური, ო. მიმინოშვილი, მ. გულედანი, ი. სხირტლაძე, კ. თორთლაძე, ვ. გიორგაძე, ვ. სანაძე), **1971 წელს** — VI, 1975 წელს — V ადგილი.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). ნოდარ გვახარია (სსრ კავშირის ნაკრების წევრი) — III ადგილი.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). გივი ჩიქვანაია და ლური გოგოლაძე (სსრ კავშირის ნაკრების წევრები) — II ადგილი.

ერთ ოჯახად

1908 წელს შექმნილი ცურვის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაცია (ფინა) თავის რიგებში აერთიანებს სამი სახეობის წარმომადგენლებს — მოცურავეებს, წყალმხტომელებსა და წყალბურთელებს.

ოლიმპიადა ქალაქ მექსიკოზე

ყალყტომა

ის, ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი წყალმხტომელების გამოსვლებს, გაიხსენებს, რომ საქართველოს სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე ვერც ერთი ქუდი ვერ მოიგოს და IX ადგილი დაიკავეს. წინა, VI სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ 6 ქულის მოპოვება შეძლეს, მაგრამ მაინც IX ადგილზე დარჩნენ. ასეთი წინსვლა მოძრავი ესკალატორის საწინააღმდეგო მხარეს გადადგმულ ნაბიჯს უფრო ჰგავდა. შემდეგ კი წარმატებები თვალსაჩინო გახდა. ყველაზე დიდი წარმატებები ლიანა ცოტაძემ და სერგი შალიბაშვილმა მოიპოვეს. ცოტაძემ, მაგალითად, შარშან მინსკის საერთაშორისო ტურნირზე კოშკიდან ხტომაში III ადგილი დაიკავა. მას მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონმა პენზელმა ი. კალინინამ და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. ვაიცეხოვსკაიამ აჯობეს. ამის შემდეგ ცოტაძე ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. მერე კი თბილისში გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაშიც გაიმარჯვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. საკავშირო სპარტაკიადაზე, ჩვენი აზრით, მან საპრიზო ადგილი უნდა დაიკავოს.

რაც შეეხება შალიბაშვილს, ისიც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია და მანაც მოიგო თბილისში გამართული სსრ კავშირის თასის გათამაშება. ამას გარდა, იგი მეორე იყო იტალიაში გამართულ ჭაბუკ წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატზე.

იმედის თვალით შევყურებთ ი. ელბაქიძესაც. ამ ჭაბუკმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე II ადგილი დაიკავა კოშკიდან ხტომაში, ხოლო თასის გათამაშებაში მეოთხე იყო როგორც კოშკიდან, ისე ტრამპლინიდან ხტომაში.

ცხადია, სამივე სახეობაში ერთი საერთო პრობლემა — საცურაო აუზების ნაკლებობა გვაწუხებს. თუ გვინდა, რომ მომავალში ჩვენმა მოცურავეებმა, წყალბურთელებმა და წყალმხტომელებმა თავალსაჩინო წარმატებებს მიაღწიონ, ყველა პირობა უნდა შეიუქმნათ ნორმალური ვარჯიშისათვის. საჭიროა აუზები, და რაც შეიძლება მეტი. სხვანაირად სპორტის ამ სახეობებში მოზარდებს მახობრივად ვერ მოვიზიდავთ.

ა. გურასაშვილი.

ოლიმპიადა ქალაქ მექსიკოზე

ნაკრების შედეგები

I სპარტაკიადა (1956 წელი). ბორის ნიკიტინი (400 მ ბრასი, 5.17,8), ნიკიტინი (400 მ ბრასი, 5.17,8), ნიკიტინი (400 მ ბრასი, 5.17,8) — I ადგილები; ალბერტ ანტონიანი (200 მ ბრასი, 1.17,8), ნიკიტინი (400 მ თავისუფალი სტილი, 4.44,2) — I ადგილები; რადა არკადიევა (400 მ თავისუფალი სტილი, 5.30,8) — II ადგილი; არკადიევა (100 მ თავისუფალი სტილი — 1.08,6) — III ადგილი.

III სპარტაკიადა (1963 წელი). იური ფუნიკოვი (200 მ ბრასი, 2.36,5), ნიკიტინი (400 მ კომპლექსური ცურვა, 5.07,1), ბორის კამენსკი, ნიკიტინი, ალექსანდრე ტუტაკაევი, იგორ გიორგობიანი (40X100 მ კომბინირებული ესტაფეტა, 4.20,2), ესმა ღიბრაძე (100 მ დელფინი, 1.14,6)— III ადგილები.

V სპარტაკიადა (1971 წელი). თინათინ ლეკვეიშვილი (100 მ გულაღმა, 1.08,0 და 200 მ გულაღმა, 2.28,7) — I ადგილები; ვიქტორ კრასკო (100 მ გულაღმა, 1.01,8 და 200 მ გულაღმა, 2,15,3) — III ადგილები.

VI სპარტაკიადა (1975 წელი). იგორ ომელჩენკო (200 მ გულაღმა, 2.10,49). საკავშირო რეკორდი) — I ადგილი; ომელჩენკო (100 მ გულაღმა, 1.01,07) — II ადგილი.

საქართველოს მოცურავეთა გუნდური ადგილები: 1956 წელს — VI, 1959 წელს — V, 1963 წელს — V, 1967 წელს — IX, 1971 წელს — IV, 1975 წელს — VIII.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). ნიკიტინი (4X200 მ თავისუფალი სტილით ესტაფეტა და 400 მ თავისუფალი სტილით, 4.42,8) — შესაბამისად III და V ადგილები.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). ტუტაკაევი (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი). ლეკვეიშვილი (4X100მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XX ოლიმპიადა (მიუნხენი, 1972 წელი). ლეკვეიშვილი (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — IV ადგილი.

XXI ოლიმპიადა (მონრეალი, 1976 წელი). ომელჩენკო (4X100 მ კომბინირებული ესტაფეტა) — V ადგილი.

წყალმხტომელთა შედეგები

III სპარტაკიადა (1963 წელი). ბორის პოლულიახი (ტრამპლინი, 163,58 ქულა) II ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). პოლულიახი (ტრამპლინი, 261,05 ქულა) — I ადგილი.

საქართველოს წყალმხტომელთა გუნდური ადგილები: 1956 წელს — V, 1959 წელს — V, 1963 წელს — VIII, 1967 წელს — IV, 1971 წელს — IX, 1975 — IX.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). პოლულიახი (ტრამპლინი, 138,64 ქულა) — VI ადგილი.

წყალბურთელთა შედეგები

1956 წელს — II ადგილი (ნ. გვახარია, ვ. ბარათაევი, კ. ოვანესიანი, ი. ჩხიკვაძე, ბ. მეგედი, კ. პოტაპოვი, ვ. ელიაშვილი, ვ. კლიმენკო, ვ. ჩერნიშოვი, ზ. ჩაჩავა, გ. დარახველიძე), **1959 წელს** — III (ლ. გოგოლაძე ნ. გვახარია, ი. ჩხიკვაძე, კ. ოვანესიანი, ვ. ბარათაევი, ვ. კლიმენკო, ბ. მეგედი, კ. პოტაპოვი, ზ. ჩაჩავა, გ. ჩიქვანაია, ო. მიმინოშვილი), **1963 წელს** — II (ლ. გოგოლაძე, ლ. გიორგაძე, ზ. ლომიძე, ბ. მარგიევი, ბ. მეგედი, ო. მიმინოშვილი, ვ. რომანოვი, ვ. სანაძე, გ. ჩიქვანაია, ი. ჩხიკვაძე, კ. წოწალური), **1967 წელს** — III (ლ. გოგოლაძე, გ. ჩიქვანაია, ვ. ისელიძე, ბ. მეგედი, კ. წოწალური, ო. მიმინოშვილი, მ. გულედანი, ი. სხირტლაძე, კ. თორთლაძე, ვ. გიორგაძე, ვ. სანაძე), **1971 წელს** — VI, 1975 წელს — V ადგილი.

XVI ოლიმპიადა (მელბურნი, 1956 წელი). ნოდარ გვახარია (სსრ კავშირის ნაკრების წევრი) — III ადგილი.

XVII ოლიმპიადა (რომი, 1960 წელი). გივი ჩიქვანაია და ლური გოგოლაძე (სსრ კავშირის ნაკრების წევრები) — II ადგილი.

ერთ ოჯახად

1908 წელს შექმნილი ცურვის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაცია (ფინა) თავის რიგებში აერთიანებს სამი სახეობის წარმომადგენლებს — მოცურავეებს, წყალმხტომელებსა და წყალბურთელებს.

ოლიმპიადა ქალაქ მექსიკოზე

ყალყტომა

ის, ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი წყალმხტომელების გამოსვლებს, გაიხსენებს, რომ საქართველოს სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე ვერც ერთი ქუდი ვერ მოიგოს და IX ადგილი დაიკავეს. წინა, VI სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ 6 ქულის მოპოვება შეძლეს, მაგრამ მაინც IX ადგილზე დარჩნენ. ასეთი წინსვლა მოძრავი ესკალატორის საწინააღმდეგო მხარეს გადადგმულ ნაბიჯს უფრო ჰგავდა. შემდეგ კი წარმატებები თვალსაჩინო გახდა. ყველაზე დიდი წარმ